# ალია

## შვილად აყვანის კანონი იცვლება



N140/3070/24 სექტემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## რამ ჩააგდო „ქართული ოცნების“ დეპუტატები ისტერიკასა და პანიკაში?

ექსპერტი მამუკა არეშიძე „ალიას“ კულუარულ ინფორმაციებს უმხელს



## რა საგანგებო თათბირი გაიმართა „ნაცმოძრაობის“ ოფისში?

## სააკაშვილის ჩაყვანილი მრჩევლები უკრაინიდან გამოყარეს?

## სააკაშვილისთვის ჩამოსართმევი რა ქონება არ მოხვდა პროკურატურის სიაში?



რა მეთოდი არსებობს ოფშორებში გადამალული სააკაშვილის თანხების აღმოსაჩენად?

## უგულავა, მერაბიშვილი და ახალაია ციხეებში მასობრივ არეულობებს გეგმავენ?



# სააკაშვილის ჩაყვანილი მრჩევლები უკრაინიდან გამოყარეს?



**რატომ დაიწყო ამერიკულმა პრესამ მიხეილ სააკაშვილის ქილიკი? რატომ დაწანწალებს ის ამერიკის ერთი შტატიდან მეორეში და რატომ აწუხებს ემიგრანტებს? რატომ გამოყარა უკრაინის ხელისუფლებამ სააკაშვილის მიერ კიევში ჩაყვანილი ე.წ. კონსულტანტები?**

**„ალიას“ მოძრაობა „ეროვნულების“ ხელმძღვანელი, სანდრო ბრეგაძე ესაუბრება:**

– აგერ, „ნაცმოძრაობის“ „სამართლიანობა“ და „დემოკრატია“ გამოჩნდა ეკა კვესიტაძის გადაცემაში, სადაც ამ ვითომჟურნალისტმა ძველი ჩანაწერები დაახვავა და თვითონაც ვერ გაიგო, რა უნდოდა. ამ ჩანაწერების უმეტესობა გაკეთებულია სააკაშვილის მმართველობის დროს და როგორც ჩანს, შოთა უტიაშვილმა, ცოლს ურჩია, ახლა გამოეყენებინა და ყველაფერი თეთრი ძაფით შეეკერა. „ნაციონალების“ მიზანია, სიტუაცია წარმოაჩინონ ისე, თითქოს დღეს კრიმინალები მართავენ ქვეყანას. ეს ყველაფერი ხდება ორი რამისთვის: პირველი – მათ უნდა გაამართლონ თავიანთი სადისტური ქმედებები, ანუ გადაფარონ და მეორე – უნდა არიონ ქვეყანა, რათა მღვრიე წყალში სააკაშვილმა ბევრი თევზი დაიჭიროს. ჩვენ დავუშვით ერთი საბედისწერო შეცდომა – რატომღაც დავიჯერეთ ზღაპარი ხელოვნური კოჰაბიტაციის შესახებ, რეალურად კი გაირკვა, რომ ეს იყო მხოლოდ ტაიმ-აუტი დროის მოსაგებად. სააკაშვილს პრეზიდენტობის ბოლო ერთი წელიწადი მშვენივრად გამოაყენებინეს ე.წ. უცხოელმა მეგობრებმა, რათა „ნაცმოძრაობა“ ჯერ გამოსულიყო ნოკდაუნიდან, შემდეგ კი დაეგეგმა სისხლიანი რევანში.

**— ანუ წინ სისხლიანი მოვლენები გველოდება?**

– თუ საშუალებას მივცემთ, რა თქმა უნდა, გველოდება, სხვა შანსი „ნაციონალებს“ არ აქვთ, მათ რჩებათ ერთადერთი გზა, უნდა განახორციელონ სისხლიანი რევანში. ამას ისინი პირდაპირ აცხადებენ და გადაწყვეტილი აქვთ, საქართველო დაშალონ ისევე, როგორც უკრაინა დაიშალა. „ნაციონალები“ ვერ იტანენ კედელთან მიყენებას, მათი სტილია ღრეობა, ფულის ჭამა, გაუპატიურება, მკვლელობა, ყაჩაღობა და ასე შემდეგ. ჩვენ ვდგავართ სერიოზული გამოწვევის წინაშე. როდესაც ამ თემაზე პოლიტიკოსები საუბრობენ, შეიძლება ვიღაცამ ყველაფერი გადაჭარბებულად ჩათვალოს, მაგრამ, როდესაც ამაზე საუბრობს შინაგან საქმეთა მინისტრი თქვენს გაზეთთან, რა თქმა უნდა, ეს უკვე არის განგაშის ზარი. ახლა თავისი სიტყვა უნდა თქვას ქართველმა საზოგადოებამ. არ შეიძლება, ქვეყანამ იცხოვროს მუდმივად სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის ქვეშ. ეს საფრთხე იქნება მანამ, სანამ პარლამენტში არიან კრიმინალები, რომლებიც აპირებენ გადატრიალებას.

**— სანდრო, ყოველდღიურად იქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები როგორც „ნაციონალების“ საფარქვეშ, ასევე მათი მოწინააღმდეგეების საფარქვეშ, სადაც ძირითადად ერთიანდებიან ახალგაზრდები. ეს ხომ არ მიგვიყვანს საშიშ დაპირისპირებამდე? დღეს უკვე ორივე მხრიდან გაისმის, რომ ისინი ერთმანეთს გაანადგურებენ.**

– შენ ჩემზე კარგად იცი, რომ „თავისუფალი ზონა“ არანაირი არასამთავრობო ორგანიზაცია არ არის. ეს არის ფაშისტური სტრუქტურა, რომელიც გახსნილია პეკინის ქუჩაზე, სადაც ნიკანდრო მელიას საარჩევნო შტაბი იყო. აქ არის თავმოყრილი სააკაშვილის ყველა „ზონდერბრიგადა“, რომლებიც ელოდებიან თითის დაქნევას. სწორედ აქ, თბილისის შუაგულში, პეკინის ქუჩაზე მზადდება არეულობების მოწყობის გეგმა. რაც შეეხება ახალგაზრდებს შორის დაპირისპირებას, ამისი საშიშროება არსებობს და მანამდე იარსებებს, სანამ „ნაციონალები“ ამ ფორმით აგრძელებენ პროვოკაციების მოწყობას და ექსტრემისტულ გამოხტომებს. დღეს ხშირად ამბობენ, რომ „ნაციონალებს“ ქვეყანაში არ აქვთ მხარდაჭერა და ვერაფერს ვერ მოახერხებენ. სწორედ ასეთივე მცირე მხარდაჭერა ჰქონდა ერთუჯრედიან კიტოვანს, მაგრამ რა შედეგებიც მივიღეთ, კარგად ვნახეთ.

**— სანდრო, მაშინ ქვეყანა, ფაქტობრივად, არ არსებობდა და კიტოვანს ამიტომაც გაუმართლა.**

– კი, მაშინ სახელმწიფო ინსტიტუტები არ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ მოდი, ისიც ვთქვათ, რომ დღეს მოწინააღმდეგეც გაცილებით მზაკვარია და გაცილებით ბევრი ფული აქვს. დაუკვირდი, დღეს მიხეილ სააკაშვილი დასავლეთსა და ამერიკაში აღარავის სჭირდება, მისი მამობილი მაკკეინიც კი მოზომილი გახდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკაში მეგობრები არ არსებობენ, მას ჰქონდა მცდელობები, საერთაშორისო პოლიტიკაში ვითომ რაღაცა ეთქვა, მაგრამ არ გამოუვიდა, ამ ადამიანს არავინ გააკარებს იქ, სადაც არიან პოლიტიკის მეტრები და ვეშაპები. ის ასევე ცდილობდა, უკრაინის ვარიანტი გამოეყენებინა სათავისოდ და ყურადღება მიექცია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იმდენი სისულელე ჩაიდინა, ამ ქვეყანაშიც აღარ ჩაესვლება. აი, პირდაპირ გეუბნები, მაქვს ინფორმაცია, რომ კახა ბენდუქიძე, რომელიც მან კიევში ჩაიყვანა, იქიდან გამოაგდეს. უკრაინელები მიხვდნენ, რომ ბენდუქიძე არის ერთი ჩვეულებრივი თაღლითი, რომელსაც ფულის შოვნის მეტი არაფერი აინტერესებს. ჩაეთრა კიევში, დაიწყო იქ ჩალიჩი, საკუთარი ბიზნესის გაფართოებაზე ფიქრი და ახალმა ხელისუფლებამ ამოჰკრა წიხლი და გამოაგდო უკან. ასევე გამოყარეს სააკაშვილის მიერ ჩაყვანილი სხვა ე.წ. მრჩევლები, მათ შორის გიორგი ვაშაძეც. უკრაინაში მიხვდნენ, რომ ესენი არაფრის მაქნისები არ არიან და პროვოკაციების მოწყობის მეტი არაფერი შეუძლიათ, მარტო საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ.

**— სხვათა შორის, უცხოურმა პრესამ უკვე დაიწყო სააკაშვილის აფიორებზე წერა, ძირითადად ამერიკული პრესა ამახვილებს ამაზე ყურადღებას.**

– სააკაშვილი დღეს არის ცარიელი ადგილი, ერთი გაბოროტებული ადამიანი, რომელიც დღე და ღამ იმაზე ფიქრობს, როგორ დაამხოს დღევანდელი ხელისუფლება. მას ბევრი რამე შერჩა, ბევრი რამე არ შერჩება, მაგრამ არ დაისვენებს. ის ყველაფერზე წავა, ჩვენ ნუ გვავიწყდება, რომ სააკაშვილი არის გაუწონასწორებელი ფსიქიკის ადამიანი, ეს ხომ ყველამ ვიცით? თუმცა მადლობა უფალს, ის არის ძალიან მშიშარა, კრიტიკულ მომენტებში კურდღელივით კანკალებს. ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა უკან ნიღბიანი გორილები დასდევენ ავტომატებით და იცავენ. გორილების გარეშე „ნაციონალები“ არაფერი არ არიან, უბრალოდ პროვოკაციების მოწყობის სკოლა აქვთ გავლილი და ავანტიურისტების სერტიფიკატები აქვთ მიღებული. ამერიკიდან დამირეკეს, სააკაშვილი უკვე იმ დონემდეა დასული, ემიგრანტებს მოულოდნელად ადგება სახლებში და აყენებს უხერხულ მდგომარეობაში. ხალხს თავისი საქმე აქვს, ძალიან ბევრი ლუკმაპურის საშოვნელადაა წასული, კიდევ სააკაშვილი უნდათ? სანამ პრეზიდენტი იყო, ობამას უსაფრდებოდა ხელის ჩამოსართმევად. დღეს სააკაშვილს რომ ვინმემ ხელი ჩამოართვას, უკვე კომპრომატია და ამიტომაც ყველა ერიდება. აი, ამიტომ ფიქრობს, რომ აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში, რასაც, ვფიქრობ, ქართველი ხალხი არ დაუშვებს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არ გამოვრიცხავ, მესამე პოლიტიკურ ძალაში აღმოვჩნდე“




პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მურმან დუმბაძის განცხადებით, პრეზიდენტთან მისი შეხვედრის ზუსტი თარიღი დადგენილი ჯერ არ არის. მისი თქმით, პრეზიდენტი კონსტიტუციით არის ერთადერთი პირი, რომელსაც აქვს პირდაპირი ჩარევის, მათ შორის აჭარის მთავრობის გადაყენების უფლება.

„ერთი კვირის წინ განვაცხადე, რომ აჭარის ხელისუფლების ორ შტოს შორის ურთიერთკონტროლი არ არის მოწესრიგებული. მივმართე თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს, რომ შეხვედროდა უმაღლესი საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ. საქართველოს პრეზიდენტმაც გამოთქვა სურვილი. ადმინისტრაცია არ დამკავშირებია, თუმცა, როდესაც შეხვედრა შედგება, პრეზიდენტს მე ვესაუბრები აჭარის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს შორის დაპირისპირებაზე. წარმომადგენლობითი ორგანო ვერ ახორციელებს კონტროლს აჭარის რეგიონის მთავრობაზე. ერთადერთი ლეგიტიმური პირი, რომელსაც აქვს კონსტიტუციური ჩარევის უფლება, არის პრეზიდენტი“, – აღნიშნა დუმბაძემ.

მისი თქმით, ამ ეტაპზე პრეზიდენტ მარგველაშვილთან ერთად ალიანსის შექმნა არ იგეგმება.

„ალიანსები, პარტიები, კოალიციები, ეს ყველაფერი მომავლის საქმეა. მე უფლებამოსილებას დამოუკიდებელი დეპუტატისა და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის რანგში ვახორციელებ. რაც შეეხება მესამე პოლიტიკურ ძალას, ამის მოთხოვნა ნამდვილად იკვეთება და გამორიცხული არაფერია. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს. არ გამოვრიცხავ, მესამე პოლიტიკურ ძალაში აღმოვჩნდე. მოსახლეობა ითხოვს მესამე პოლიტიკურ ძალას. ეს ჩვეულებრივი ამბავია. პოლიტიკაში ყველაფერი შესაძლებელია“. – განაცხადა დუმბაძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ნარმანია აქციის მონაწილე სტუდენტებს შეხვდა




სტუდენტებმა თსუ-სთან გაზგასამართი სადგურის მშენებლობა თბილისის მერიასთან აქციით გააპროტესტეს. აქციის მონაწილე სტუდენტები დავით ნარმანიასა და მის მოადგილეს ალუდა გოგლიჩიძეს შეხვდნენ.

ნარმანიას განცხადებით, გაზგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვა გაცემულია თბილისის მერიის მიერ და ის პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რაც მას წაეყენება.

„გაზგასამართ სადგურსა და მაღლივ კორპუსს შორის არის დიდი სივრცე, სადაც ჩვენ ახალგაზრდული ცენტრის გაკეთების პროექტი გვაქვს და ეს პროექტი სიცოცხლისუნარიანია. ეკონომიკის სამინისტროს უკვე მივმართეთ ამ პროექტის გადმოცემასთან დაკავშირებით, პროექტი უკვე არსებობს და მიუხედავად ყველაფრისა, შევთანხმდით, რომ ეკონომიკის სამინისტროსთან შედგება შეხვედრა, სამინისტროსგან მიიღებენ ინფორმაციას სტუდენტები, თუ რა პროექტსა და რა მოცულობის ინვესტიციაზეა საუბარი და ჩემგან გამოიყო მერის მოადგილე, რომელიც ამ შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას“, – განაცხადა ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე შემოდგომაზე გაკეთდება მოედანი და მასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მოხდება.

„ეს დაახლოებით 180 ათასი ლარის ღირებულების პროექტია და ჩვენ ამ ტერიტორიის განვითარებაზე ვზრუნავთ. წლების წინათ მივიწყებული ტერიტორია უნდა გახდეს უფრო მეტად მიმზიდველი სტუდენტებისთვის და მეორე მხრივ, ბიზნესინტერესებიც გასათვალისწინებელია. სადღაც ოქროს შუალედი უნდა მოვძებნოთ“, – აღნიშნა ნარმანიამ.

სტუდენტები მიიჩნევენ, რომ გაზგასამართი სადგური არ უნდა აშენდეს, რადგან ტერიტორიაზე, სადაც მშენებლობა იგეგმება, უნივერსიტეტის განვითარება და გაფართოებაა შესაძლებელი. ისინი ამბობენ, რომ, თუ მათ მოთხოვნას არ გაითვალისწინებენ, საპროტესტო აქციებს გააგრძელებენ. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რამ ჩააგდო „ქართული ოცნების“ დეპუტატები ისტერიკასა და პანიკაში?

## ექსპერტი მამუკა არეშიძე „ალიას“ კულუარულ ინფორმაციებს უმხელს

„ნაციონალური მოძრაობა“ გიორგი მარგველაშვილის ლიკვიდაციას გეგმავს, – მითია თუ რეალობა?!. უფლებადამცველი კოტე ინაშვილი აცხადებს, რომ მარგველაშვილის ლიკვიდაციის მიზანია ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბოს და უმართავ ქაოსში გადაიზარდოს. „ნაციონალები“ უკვე ღიად დაუპირისპირდნენ შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს, გიორგი მღებრიშვილის უწყებასა და პროკურატურას... „ნაციონალები“ აპირებენ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ლიკვიდაციას. სავარაუდოდ, ეს იქნება ლიტვინენკოს გარდაცვალების სცენარი, მას მოწამლავენ. გიორგი მარგველაშვილს პრობლემა აქვს ხელისუფლებასთან და შესაბამისად, პრეზიდენტის გარდაცვალება დაჰბრალდება არა „ნაცმოძრაობას“, არამედ „ქართულ ოცნებას“.

ის, რაც უფლებადამცველმა ინაშვილმა განაცხადა, ამის შესახებ „ალიას“ რამდენიმე კვირის წინ მიაწოდეს ინფორმაცია, თუმცა ეს მორიგ პროვოკაციად ჩავთვალეთ და შესაბამისად, სიფრთხილიდან გამომდინარე, ინფორმაციის ტირაჟირება არ მოვახდინეთ... მაგრამ ვინაიდან ინფორმაცია უკვე საჯაროა და ამაზე კონკრეტული წყარო ღიად საუბრობს, „ალია“ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ მამუკა არეშიძესთან, რომელიც ამ და სხვა მიმდინარე საკითხებზე გვესაუბრება...

**— რამდენად რეალური გეჩვენებათ ინფორმაცია მარგველაშვილის სავარაუდო ლიკვიდაციის შესახებ?**

– თუ ეს ინფორმაცია რეალურია და თუკი ვინმეს აქვს ეს გეგმა, ამას მხოლოდ იმისთვის აკეთებს, რომ, პირველ რიგში, ხაზი გაუსვას იმ დაპირისპირებას, რაც ხელისუფლებაშია, მოხდება ხელისუფლების დისკრედიტაცია, ამით მის უნიათობას გაუსვას ხაზი და მიზანია, ქვეყანაში არიოს სიტუაცია. ასეთი რამ სხვა ქვეყანაშიც მომხდარა ზუსტად იგივე მიზეზების გამო. თუ პრეზიდენტი და ხელისუფლება ამას სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ხარვეზი იყო, შეშინებულები არიან და საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვა გახდება დამატებითი გაღიზიანების წყარო. თუ ამ ინფორმაციას ყურადღებას არ მიაქცევენ, შეიძლება ამდაგვარი რაღაც მაინც მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტზე თავდასხმის იმიტაცია მაინც, რაც ყველა ვარიანტში ხელისუფლებას დაჰბრალდება. ასე რომ, ხელისუფლება დილემის წინაშე აღმოჩნდა ასეთი ინფორმაციის გაჟღერების შემდეგ.

**— დგას თუ არა საქართველო სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე? „ნაციონალების“ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ზონას“ მიუვარდა „თავისუფალი თაობა“, დაკავებულია რამდენიმე ადამიანი და ეს ხდება პრემიერის გაეროში ვიზიტის დროს. ეს არ აზარალებს ქვეყნის იმიჯს?**

– თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა გიგი უგულავას წერილი, იმ წერილში ეს ყველაფერი გაწერილია, ამას შეიძლება დავარქვათ ერთგვარი შპარგალკა, ზუსტად ამ გეგმის მიხედვით მოქმედებენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს წერილი ხელისუფლებას კარგად არა აქვს წაკითხული. მათ ეს წერილი რომ ყურადღებით წაეკითხათ, პრევენციულ ზომებს გაატარებდნენ და ასეთ ინციდენტს, რაც მოხდა, არ დაუშვებდნენ, მით უფრო, ასეთ საპასუხისმგებლო დროს, როცა პრემიერი ვიზიტით იმყოფება გაეროში. რაც შეეხება კითხვის პირველ ნაწილს, დგას თუ არა ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროების წინაშე, ჯერჯერობით ამ ფონს ვერ ვხედავ, მაგრამ საფრთხე არის. რაც ხდებოდა 2003 წელს, დაახლოებით იმ გზით მიდიან დღეს. თუკი მათი ქმედება 2003 წელს იყო ორიენტირებული შიდა პოლიტიკაზე, ეხლა „ნაციონალები“ ორიენტირებული არიან უცხოეთზე. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ადგილობრივი ელექტორატი მათ არ გულშემატკივრობს, საერთოდ, მე ვხედავ, რომ „ნაცმოძრაობის“ მუშაობის გეგმა შეიცვალა.

**— მიხეილ მაჭავარიანი „ნაცმოძრაობიდან“ გასვლას აპირებს და ამ ინფორმაციას აანონსებს მათი გუნდის წევრი, მამუკა გამყრელიძე. ასევე ითქვა, რომ „ნაციონალების“ წამყვანი ფიგურა გიორგი ვაშაძეც აპირებს გაემიჯნოს „ნაცმოძრაობას“, უკვე აშკარაა, რომ მათი გეგმები შეიცვალა. თუმცა თქვენ რა გაქვთ მხედველობაში, როცა მათ შეცვლილ გეგმებზე საუბრობთ?**

– მე მაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობაში“ არის ძალები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეტაპობრივად გააძლიერონ თავისი პარტია, გააკეთონ რებრენდინგი და ხელისუფლებაში მოსვლისთვის იბრძოლონ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. მაგრამ არის მეორე ნაწილი, რომელიც არ იცდის და თვლიან, რომ ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა იყოს მყისიერი. ისინი ფიქრობენ, არათუ 2016 წლის შემდეგ, არამედ რაც შეიძლება მალე დაამთავრონ ეს ხელისუფლება, შეიძლება მომავალ წელსაც კი. ამის გამოა, რომ მათ ტაქტიკა შეიცვალეს და პოლიტიკურ ოპონენტებთან უფრო აგრესიულ თავდასხმაზე გადავიდნენ, თუმცა ამას აკეთებენ ის ადამიანები, ვისაც „ნაცმოძრაობაში“ უარყოფითი პოლიტიკური წარსული არა აქვთ და ბოლოს ჩაერთვნენ



**„თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა გიგი უგულავას წერილი, იმ წერილში ეს ყველაფერი გაწერილია, ამას შეიძლება დავარქვათ ერთგვარი შპარგალკა, ზუსტად ამ გეგმის მიხედვით მოქმედებენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს წერილი ხელისუფლებას კარგად არა აქვს წაკითხული. მათ ეს წერილი რომ ყურადღებით წაეკითხათ, პრევენციულ ზომებს გაატარებდნენ და ასეთ ინციდენტს, რაც მოხდა, არ დაუშვებდნენ, მით უფრო, ასეთ საპასუხისმგებლო დროს, როცა პრემიერი გაეროში იმყოფება ვიზიტით“**

პროცესებში, ასეთია ზურაბ ჯაფარიძე, რომელსაც პირდაპირ ვერ დავაბრალებთ იმ უბედურებას, რაც ჩვენ 9 წლის განმავლობაში გვჭირდა. „ნაციონალების“ გეგმის შეცვლა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი და მინდა ამაზე ყურადღება იყოს გამახვილებული, მათ გეგმებში პირველი ადგილი არ უკავია ხელისუფლებაში მოსვლას, ეს არის რიგით მეორე ნომერი. მათი გეგმის პირველი ნომერი არის დესტაბილიზაციის მოწყობა ქვეყანაში და „ნანგრევებზე დროშის აფრიალება“, ამ შემთხვევაში ეს არის ხატოვანი გამოთქმა, მე ფიზიკურად დანგრეულ ქალაქს არ ვგულისხმობ, მე ვგულისხმობ დანგრეულ სახელმწიფო სტრუქტურებს, საზოგადოების გაღიზიანებას, ნიჰილიზმს პოლიტიკური ძალების მიმართ. სხვათა შორის, ხალხის გაღიზიანება ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ, შედის „ნაციონალების“ ინტერესში, რომ ახალმა ფიგურებმა, ვინც პოლიტიკასთან ნაკლებად ასოცირდებიან, მარტივად მოიპოვონ ლიდერების პოზიციები ხალხში. დაუკვირდით, როგორ გააქტიურდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ლიდერების სელექცია სწორედ აქედან მოხდება. 2003 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჩანდნენ პოლიტიკური ძალები „ნაცმოძრაობისა“ და „დემოკრატების“ აქტივობის ფონზე მიდიოდა პროცესები, ახლა უკვე, მთავარი წამყვანი ძალა გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებსაც რეალურად „ნაციონალები“ აფინანსებენ და საფარქვეშ მოქმედებენ. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები რაღაც მომენტში ჩამოყალიბდება პოლიტიკურ ფრონტად. აი, ეს არის გეგმა, „ნანგრევებზე

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### საქართველოში ყოველი ხუთი ორსულიდან სამი აბორტს იკეთებს



პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, „უკანონო აბორტებზე გამკაცრებული სანქციები დანაშაულის სიმძიმის შესაბამისია“.

მისი თქმით, სავარაუდო გათვლებით დღეში დაახლოებით 100-150 აბორტი კეთდება ანუ ყოველი ხუთი ორსულიდან სამი აბორტს იკეთებს. კანონპროექტის მიხედვით კი, უკანონო აბორტი დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-დან 2 წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 4 წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე.

ნორმები გამკაცრდება იმ შემთხვევაშიც, თუ უკანონო აბორტი სიცოცხლის მოსპობას გამოიწვევს. ამ შემთხვევაში პიროვნება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 6 წლამდე ვადით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე.

კანონპროექტი სასჯელის ფორმად ჯარიმას აღარ ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### კრიზისების მართვის საბჭო განცხადებას ავრცელებს




სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო განცხადებას ავრცელებს.

„აჭარაში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით პრემიერის დავალებით შექმნილი საგანგებო შტაბი მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადადის. ამ ეტაპზე სალიკვიდაციო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. გასული დღე-ღამის განმავლობაში შემოსულია 150 გამოძახება. რეაგირების გარეშე არც ერთი შემთხვევა არ დარჩენილა.

ბათუმის ქუჩებში წყლის ტუმბვა დასრულებულია და დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები. მიმდინარეობს წყლის ამოტუმბვა მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებიდან. შესაბამისი საქალაქო სამსახურის მიერ, მუდმივად მოწმდება სასმელი წყლის ხარისხი. რამდენიმე მეწყრული კერა დაფიქსირდა ხელვაჩაურში.

8 ოჯახი, რომელთა საცხოვრებელი სახლები განსაკუთრებით დაზიანდა, უზრუნველყოფილია დროებითი თავშესაფრით. 15 ოჯახს, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც ნაკლებად დაზიანებულია, მიეცა რეკომენდაცია, დროებით დატოვონ საცხოვრებელი ადგილები.

საგანგებო შტაბი მოუწოდებს მოსახლეობას, გაითვალისწინონ ადგილობრივი ხელისუფლების რეკომენდაციები. რეგიონში ამოქმედდა აჭარის მთავრობის ცხელი ხაზი, რომელიც მყისიერად მიაწვდის ინფორმაციას საგანგებო შტაბს და სამაშველო ჯგუფებს. ცხელი ხაზის ნომერია: 4 22 27 20 01“, – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

*მესამე გვერდიდან*

დროშის აფრიალება", ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოება, განაწყენებული ადამიანები, ჟურნალისტები, ისევ გააგრძელებენ ბრძოლას „ნაცმოძრაობის" წინააღმდეგ, მაგრამ ამის პარალელურად მოხდება ის, რაზეც მე ახლა გესაუბრეთ, არასამთავრობო ორგანიზაციების უფრო მეტად გააქტიურება და პროცესებში დომინანტის როლის აღება. რაც შეეხება „ნაცმოძრაობიდან" წამყვანი ფიგურების სავარაუდო წასვლას, მე არ ვიცი, რას უკავშირდება გიორგი ვაშაძის გადაწყვეტილება, თუ ეს გადაწყვეტილება მან მიიღო, რომ დატოვოს „ნაციონალური მოძრაობა", ფაქტი ერთია, რომ ვაშაძე ძალიან ღირებული ფიგურაა „ნაციონალებისთვის". სააკაშვილისგან განსხვავებით, მას ბევრად უფრო სუფთა ბიოგრაფია აქვს და ქარიზმით უტოლდება მიშას. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ვაშაძემ დატოვოს პარტია „ნაციონალური მოძრაობა" და გახდეს არასამთავრობო ჯგუფების ლიდერი. რამდენადაც მე ვიცი, ამ არაფორმალური ჯგუფების ლიდერი, კერძოდ კი სტუდენტების, უნდა ყოფილიყო სერგო რატიანი, მაგრამ რატიანი თავს რამდენად გაართმევს ლიდერობას, ეს რთული სათქმელია. მას რომ ვაშაძისნაირი ენერგიული პიროვნება სჯობია, ეს ფაქტია, შესაძლოა ეს ყველაფერი ამისთვისაც კეთდება. რაც შეეხება მიხეილ მაჭავარიანს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" აღმასრულებელი მდივანი იყო, ის მაინც კონსტრუქციული ადამიანია, მიუხედავად თავისი კატეგორიული გამოსვლებისა. ასეთი ფიგურა შეიძლება იყოს პოლიტსაბჭოში, მაგრამ არ უნდა იყოს ერთ-ერთი ლიდერი, ის ჩაანაცვლეს ზურაბ ჯაფარიძით, როგორც ჩანს, მას აქვს მიზეზი, დატოვოს პარტია და არ გამოვრიცხავ, თუკი მაჭავარიანი „ნაცმოძრაობის" წევრი აღარ იქნება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბევრი საუბარია იმის თაობაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ახალი პარტიის ჩამოყალიბებასაც აპირებს. როცა „ნაცმოძრაობა" რებრენდინგზე ლაპარაკობს, სწორედ ახალ პარტიას გულისხმობს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ თითოეული მათგანი იმ პოლიტიკური ფრონტის უკან იდგება, მაგრამ ამ პოლიტიკურ ფრონტამდე გასავლელია გზა. ეს გასავლელი გზა, უკვე უნდა იტვირთონ მათ მიერ შექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისინი მაქსიმალურად გააქტიურდებიან.

— **გაეროში მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ლიდერები სტუმრობენ, კულუარულ საუბრებში ღარიბაშვილს, ალბათ, ჰკითხავენ, რა ხდება მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით. მოახერხებს პრემიერი, დაუმტკიცოს მსოფლიოს წამყვან ლიდერებს, რომ ის არის დამნაშავე და მასზე და მის რეჟიმზე პოლიტიკური დევნა არ ხორციელდება?**

– ღარიბაშვილის გაეროში ჩასვლის მიზანი, ეს თემა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს, ამაზე უნდა იზრუნონ საელჩოებმა, ჟურნალისტებმა და ლობისტურმა კომპანიებმა. უნდა ყოფილიყო კომპლექსური შეტევა, მთელი ეს პროცესი უნდა ყოფილიყო ახსნილი, მარტო ღარიბაშვილი გაეროს კედლებში, ამას ვერ გააკეთებს და მე თუ მკითხავთ, არც კი იქნება ეფექტური ღარიბაშვილმა დაიწყოს იმის მტკიცება, რომ სააკაშვილზე პოლიტიკური ანგარიშსწორება და დევნა არ მიმდინარეობსო.

„ნაციონალების" გეგმის შეცვლა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი და მინდა ამაზე ყურადღება იყოს გამახვილებული, მათ გეგმებში პირველი ადგილი არ უკავია ხელისუფლებაში მოსვლას, ეს არის რიგით მეორე ნომერი. მათი გეგმის პირველი ნომერი არის დესტაბილიზაციის მოწყობა ქვეყანაში"

— **ზვიად ძიძიგურის განცხადება იყო ძალიან საინტერესო, რომელიც პირადად ორჯერ წავიკითხე, ვიფიქრე, რამე ხომ არ მეჩვენება, „მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დაპატიმრების შემთხვევაში გიორგი მარგველაშვილის მხრიდან მისი შეწყალების მექანიზმი ამოქმედდება".**

– მე გამიჭირდება ზვიად ძიძიგურის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება, თქვენ კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ მას შემდეგ, რაც მან დაიახლოვა და პარტიის კარები გაუღო იმ ადამიანებს, ვინც ჩვენ გვებრძოდა, გვდევნიდა, ჩვენი პარტიის წევრებს საწამლავს ასხამდა თვალებში და ა.შ. ეს არის ვაჟა ლელუაშვილი და მისი კლანი. რა ვიცი, რა გითხრათ, კონსტიტუციურად მარგველაშვილს აქვს უფლება, რომ შეიწყალოს პრეზიდენტი, მაგრამ მე არ მგონია, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ამ ნაბიჯზე წავიდეს... როგორც მე ვიცნობ მარგველაშვილს, მან შეიძლება პირადი ურთიერთობა მაქსიმალურად გაამწვავოს, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობების გამწვავებას მოერიდება.

— **რატომ გახდა აუცილებელი „ქართული ოცნების" წარმომადგენელს გაეკეთებინა ასეთი განცხადება, რომ თუკი პოლიტიკური კონიუნქტურა მოითხოვს, ექსპრეზიდენტ სააკაშვილს პრეზიდენტი მარგველაშვილი შეიწყალებს.**

– ზვიად ძიძიგური ჩემთვის არ არის ის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც მთლიანად „ქართულ ოცნებას" წარმოადგენს. ერთი კი ფაქტია, გარკვეულწილად შიშები გაჩნდა „ქართულ ოცნებაში", რომ გიორგი მარგველაშვილმა შეიძლება არაორდინარული ნაბიჯი გადადგას. ზუსტად ვიცი, მარგველაშვილის განცხადებას, თუკი პოლიტიკური კრიზისი დაიწყება, ის დაითხოვს პარლამენტს, დეპუტატების სერიოზული ისტერიკები და შიში მოჰყვა, ისინი პანიკაში არიან. მე ეს დავინახე ძიძიგურის განცხადებაში და არა ის, რაც მან რეალურად იგულისხმა. წავა თუ არა მარგველაშვილი ამ ნაბიჯზე და დაითხოვს თუ არა პარლამენტს, ეს ცალკე თემაა, მაგრამ სულ უფრო მეტი მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი რომ ლაპარაკობს იმაზე, რომ მარგველაშვილი უნდა გადადგეს, ეს ფაქტია. მარგველაშვილი კონტრღონისძიებებზე მიდის, ჯერჯერობით ერთმანეთს აშინებენ და ორივე მხარე კონსტიტუციას იშველიებს. საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში უნიკალური რამ ხდება, კერძოდ, უმრავლესობის რიგებში, მათ კულუარების თემა მოსპეს და ყველაფერი გამოაქვთ საჯაროდ. უთანხმოება რომ არსებობს მმართველ კოალიციაში, ეს ძალიან ცუდია. ნებისმიერი ასეთი ტიპის უთანხმოება იწვევს ფეხზე დაუმდგარი სახელმწიფოს დაკნინებას.

— **„ქართული ოცნების" აღმასრულებელ მდივნად ინიშნება ზვიად ჯანყარაშვილი. ეს არის პრემიერის მესიჯი, რომ ის ემზადება 2016 წლის არჩევნებისთვის და იბრძოლებს, მისმა პარტიამ მოიპოვოს უმრავლესობა. გააძლიეროს თავისი პარტია და ჩვენ ძალიან ბევრ ადამიანს ვნახავთ, ვინც დატოვებს „ოცნების" რიგებს. არის ინფორმაცია, რომ ჯანყარაშვილის კანდიდატურას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა პარტიაში, როგორ ფიქრობთ, შეძლებს ის ძლიერი პარტიის მშენებლობას?**

– მე ერთხელ ვარ შეხვედრილი ჯანყარაშვილს და ხაზს ვუსვამ, ის ითვლება ძალიან კარგ ორგანიზატორად, ძალიან რთულია იმ პარტიის მშენებლობა, რომლის ფუნდამენტიც არასწორადაა ჩაყრილი. მით უფრო, როცა ამ პარტიის წევრ ლიდერს თავისი ინტერესები აქვს და ამდენი ხნის განმავლობაში დაკავებული იყო თავისი ხალხის თანამდებობებზე გადანაწილების პროცესით. საკმარისია შეეხო ამ ხალხს, რომელსაც „ქართული ოცნების" წევრი ჰქვია და დაიწყება საშინელი შიდა დაპირისპირება, აჭარა და დუმბაძის ისტორია ამის ნათელი მაგალითია. ჯანყარაშვილს გაუჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას შეძლებს და გააკეთებს. „ქართული ოცნების" დეპუტატებში ჯანყარაშვილის სახელმა შეშფოთება რომ გამოიწვია, ეს ფაქტია, მათთვის მოულოდნელი იყო ირაკლი ღარიბაშვილის ეს ნაბიჯი. ეს სვლა ზუსტად იმაზეა გათვლილი, რომ პარტიაში ისეთი კაცია, რომელიც არ შეეპუება არაფერს. ეს არის ეფექტური ჩანაფიქრი, თუმცა ამის რეალიზება უაღრესად რთული იქნება. ღმერთმა ხელი მოუმართოს ზვიად ჯანყარაშვილს ამ საქმეში.

— **„ნაციონალმა" აქტივისტებმა დაიწყეს კამპანია, „გამოვისყიდოთ ყადაღადადებული სანდრა რულოვსის სახლი", რეჟისორმა რობერტ სტურუამ ამ აქციას სტატუსი მიუძღვნა: „მკვლელებო, საკუთარი დედის მტ...ელებო, ბოზებო, მექრთამეებო, მოღალატეებო, შანელის კაბებში გამოწყობილნო, წესიერებო სტუმრებთან და საკუთარ ოჯახებში ზნედაცემულნო, სულით გლეხებო და გლეხთა მჩაგვრელნო, ტრ...ის აქეთ-იქით მოქანანენო, შეუგროვეთ, შეუგროვეთ სანდრას, იმ „კაგებეს" და „სიაის" აგენტს. ვინც საქართველოს ვერ იტანს დღემდე, დროზე შეუგროვეთ ფული, სანამ შიმშილით არ გასძვრა სული, იმ ლამაზ მატა ხარის..."**

– ეს აქცია ძალიან გამაღიზიანებელია, მით უფრო იმ ძალიან ბევრი ადამიანისთვის, ვინც „ნაციონალებმა" და სააკაშვილმა სახლებიდან გამოყარა და უსახლკაროდ დატოვა. ეს ადამიანები ჩვენი სახლების გამოსყიდვაზე რატომ არ ზრუნავენ, ქუჩაში რომ გამოგვყარეს? ასეთი ძალიან ბევრია ამ ქვეყანაში, მაშინ რატომ არავინ უგროვებდა ამ ადამიანებს ფულს? საქმე ისაა, რომ ამათ განგაშის ზარები შემოსცხეს ტყუილად, იმ სანდრას სახლიდან არავინ აგდებს, ყადაღის დადება ნიშნავს, რომ იზღუდება მფლობელობის უფლება, ყადაღის დროს არ შეიძლება ქონება გაასხვისო, იპოთეკაში ჩადო და ა.შ. ეს აჟიოტაჟი, რაც „ნაციონალებმა" ატეხეს ზუსტად იმისთვისაა საჭირო, რომ შექმნან ისეთი განწყობა, თითქოს ვიღაცა, ვიღაცას სახლიდან აგდებს. „ნაციონალებს" ეს პროცესები ბუმერანგივით დაუბრუნდებათ, მე ვიცი, რომ გარკვეული ჯგუფი აპირებს, იმ ადამიანებს მიადგეს, ვინც სანდრასთვის ფულს აგროვებს და უთხრას, რომ ჩვენც სახლებიდან ვართ გამოყრილები სააკაშვილის რეჟიმის დროს და მოგვეცით ფული. ეს ხელისუფლება კი არ გაგიჟდა, ისინი ასრულებენ იმ კანონს, რომელიც, სხვათა შორის, „ნაციონალებმა" შემოიღეს იმისთვის, რომ უფრო მარტივად ემოქმედათ და ადამიანების მეტი სოციალური შრე მოეცვათ, არა მხოლოდ კონკრეტული ბიზნესმენებისთვის გაეძროთ ტყავი, არამედ მათი ნათესავებისთვისაც. ეს კანონი მათ ბუმერანგივით დაუბრუნდათ, რატომ უკვირთ. ვერ გავიგე.



„მარგველაშვილი კონტრღონისძიებებზე მიდის, ჯერჯერობით ერთმანეთს აშინებენ და ორივე მხარე კონსტიტუციას იშველიებს. საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში უნიკალური რამ ხდება, კერძოდ, უმრავლესობის რიგებში, მათ კულუარების თემა მოსპეს და ყველაფერი გამოაქვთ საჯაროდ. უთანხმოება რომ არსებობს მმართველ კოალიციაში, ეს ძალიან ცუდია"

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გორის რაიონში პოლიციელი დაჭრეს




გორის შს სამმართველოს მეჯვრისხევის განყოფილების დეტექტივი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაჭრეს. შემთხვევა გორის რაიონის სოფელ ბოშურში გასულ კვირას მოხდა მოხდა.

არსებული ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომელი ბოშურში სტუმრად იმყოფებოდა და ადგილობრივთან შეკამათება მოუვიდა, კამათი ჩხუბში გადაიზარდა და დაჭრით დასრულდა. შსს-ს ინფორმაციით, დანაშაულში ბრალდებული ამ დროისთვის უკვე დაკავებულია.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საყოველთაო ჯანდაცვით მოსარგებლეებს არასასურველი რეგისტრაციის გაუქმება შეეძლებათ



ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, საყოველთაო ჯანდაცვით მოსარგებლეებს, არასასურველი რეგისტრაციის გაუქმება სერვის ცენტრებში შეეძლებათ.

„საყოველთაო ჯანდაცვით მოსარგებლე ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თავისი თანხმობით ან თანხმობის გარეშე დარეგისტრირებულია ამა თუ იმ პოლიკლინიკაში, შეუძლია, არასასურველი რეგისტრაცის გაუქმების მიზნით მიმართოს საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრს (ჯავახიშვილის №51ბ, ვაჟა-ფშაველას გამზირი №70ა, ბოჭორმის ქუჩა №8) და დარეგისტრირდეს მის მიერ შერჩეულ პოლიკლინიკასა თუ ამბულატორიაში. სასურველ პოლიკლინიკაში დარეგისტრირება ხდება სპეციალურად შემუშავებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის შევსების საფუძველზე. რეგისტრაციის შეცვლა შესაძლებელია 2 თვეში ერთხელ. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პოლიკლინიკის) მიერ დარეგისტრირებულია თავისი თანხმობის გარეშე, მას შეუძლია რეგისტრაცია მყისიერად გააუქმოს და ამისთვის უნდა მიმართოს არა პოლიკლინიკას, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრს. ასევე, კერძო სადაზღვევო კონტრაქტის შეწყვეტისას, იმისთვის, რომ დაზღვეულმა ისარგებლოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ცნობა სადაზღვევო კომპანიიდან უნდა წარადგინოს საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრში, ზემოჩამოთვლილ ნებისმიერ მისამართზე", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)



# შვილად აყვანის კანონი იცვლება

**მთავრობის ინიციატივით, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებები შედის და ბავშვთა შვილად აყვანა გართულდება. კონკრეტულად რა სიახლეები შევა კანონში და რა უნდა გაითვალისწინოს შვილად აყვანის მსურველმა წყვილმა?**

**„ალიას“ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, დიმიტრი ხუნდაძე ესაუბრა:**

**— ბატონო დიმიტრი, რატომ გახდა საჭირო კანონში ცვლილების შეტანა?**

– ამ მიმართულებით მუშაობა ერთი რამის გამო დავიწყეთ – ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა. პრობლემა ძირითადად არის დისბალანსი, რომელიც მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვთა შორის არსებობს. ბოლო მონაცემებით, მშვილებლად რეგისტრირებულია დაახლოებით 2 978 ადამიანი, ხოლო ამის პარალელურად ყოველწლიურად შვილდება დაახლოებით 200-250 ბავშვი. რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს დარეგისტრირებული ადამიანი ბავშვის აყვანას 8-13 წლის შემდეგ შეძლებს. იდეალურ სიტუაციაში, გაშვილებული ბავშვების რაოდენობა, შვილად აყვანის მსურველთა რიცხვს უნდა შეესაბამებოდეს. დღეს საქართველოში მშვილებლად დარეგისტრირება ძალიან ადვილია. ანუ მინიმალური მოთხოვნები არსებობს და ეს უნდა დაიხვეწოს.

**— სულ ეს არის? სხვა რა შეიცვლება კანონში?**

– ზემოხსენებულ ცვლილებასთან ერთად, კარგად უნდა იყოს განსაზღვრული თავსებადობა მშვილებელ ოჯახსა და შვილად ასაყვან ბავშვს შორის. უნდა შეფასდეს ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა, მისი ფსიქოემოციური სტრუქტურა. ასევე, ასაკი. მაგალითად, ხშირად, ასაკოვანი მშვილებელი იყვანს მცირეწლოვან ბავშვს, რომელიც ძალიან მალე, მცირეწლოვანი ასაკოვანი მშობლების მომვლელად იქცევა. ანუ დაწესდება ასაკობრივი ცენზი, რაც დაახლოებით იქნება 50 წელი. კანონი გამონაკლისს დაუშვებს იმ შემთხვევაში, თუ ორიდან ერთ-ერთი მშობელი 50 წელს არ იქნება მიღწეული.

**— ეს ცვლილება, არ არის დისკრიმინაციული შვილად აყვანის ასაკოვანი მსურველების მიმართ?**

– რა თქმა უნდა, ყველას უფლებები უნდა დავიცვათ, მაგრამ კითხვითვე გიპასუხებთ – ის, რომ პირმა რეგისტრაციის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილოს და ბავშვის შვილად აყვანა ვერ მოახერხოს, ეს უფროა დისკრიმინაცია, თუ ის, რომ 5 წლის ასაკში, ბავშვი ასაკოვანი მშობლების მომვლელი გახდეს? რომელი უფრო დიდი დისკრიმინაციაა?

**— ნებისმიერ შემთხვევაში დისკრიმინაციაა...**

– სახელმწიფოს მიდგომა ასეთია, როცა ბავშვს არ აქვს საშუალება, რომ ბიოლოგიურ ოჯახში გაიზარდოს, ასეთი ბავშვის გაშვილება უნდა მოხდეს. ბავშვი ოჯახურ პირობებში უნდა გაიზარდოს, მაგრამ შესაბამისი გარემო უნდა შევურჩიოთ, რომ მაქსიმალურად იქნას დაცული ბავშვის უფლებები, რომ მისი ფსიქოემოციური სტრუქტურა სწორად ჩამოყალიბდეს მისი განვითარების პერიოდში. ასევე, საქართველოში არ არსებობს დაინტერესება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები იშვილონ. წყვილებს სტიმული უნდა მივცეთ, რომ ასეთი ბავშვები აიყვანონ. მართალია, ძალიან რთულია ასეთი ბავშვების მოვლა, მათი შვილად აყვანა, მათზე ზრუნვა და იმ პასუხისმგებლობის აღება, რასაც ეს მოითხოვს, თუმცა შესაძლებელია. სახელმწიფოს ერთ-ერთი ინტერესი ისიცაა, რომ გაშვილების სისტემა სრულად ჩამოყალიბდეს, რომ დაცული იყოს ბავშვის ინტერესები არაჯანსაღი პრაქტიკისგან. დეტალების ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ, თუმცა, სამუშაო ვარიანტი ჩამოყალიბებული გვაქვს.

**— ერთ-ერთი პრობლემური საკითხი ქართველ და უცხოელ მშვილებელს შორის პრიორიტეტის განსაზღვრა იყო. ამ სიახლის თანახმად, როგორ იქნება ეს? ვის მიენიჭება პრიორიტეტი?**

– ამ კანონპროექტის ჩონჩხი უკვე არსებობს და როცა ჩვენ მის განხილვას დავიწყებთ, უფრო დეტალურად მერე გიპასუხებთ. დეტალებს ამ ეტაპზე ვერ დავაკონკრეტებ, არ მინდა საზოგადოებას არასწორი ინფორმაცია მივაწოდო. სამუშაო ჯგუფია შექმნილი, რომელშიც შედიან, კომიტეტის წევრები, „იუნისეფის“ წარმომადგენლები მუშაობენ ამ თემატიკაზე, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამინისტრო და არასამთავრობო სექტორიც ჩაერთვება ამ სამუშაოში. ასევე, თუ ვინმე გამოთქვამს ჩართვის სურვილს და კომპეტენტური იქნება, ჩვენ მზად ვიქნებით მათთან სათანამშრომლოდ.

**— როდის დაიწყებთ კანონპროექტის განხილვას?**

– ოქტომბრის შუა რიცხვებში დავიწყებთ და რამდენ ხანს გაგრძელდება და როდის დასრულდება, ამას სამუშაო პროცესი გვიჩვენებს.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

# ხელმისაწვდომი ბინები „$m^2$“-სგან „ოპტიმა ისანში“

## კომპანიამ ახალი ოპტიმალური ხაზის პირველი პროექტი წარადგინა



დეველოპერულმა კომპანია „$m^2$“-მა დადებული პირობა შეასრულა და საზოგადოებას ახალი პროექტის წამოწყების შესახებ ამცნო, რომელიც უფრო მეტ ოჯახს მისცემს საშუალებას, საოცნებო ბინა ხელმისაწვდომ ფასად შეიძინოს.

ახალი კონცეფციის მქონე სამშენებლო პროექტს „ოპტიმა ისანი“ ჰქვია და სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ მომხმარებელს კომპანია ოპტიმალურ პირობებს სთავაზობს.

დავიწყოთ იმით, რომ საცხოვრებელი კომპლექსი „ოპტიმა ისანი“ კომპანია „$m^2$“-ის **ახალ ოპტიმალურ სამშენებლო ხაზს ეკუთვნის,** რომლის ფარგლებშიც კომპანია უფრო მეტი ოჯახისთვის ხელმისაწვდომ და მომხმარებელზე მორგებულ სამშენებლო პროექტებს განახორციელებს თბილისის სხვადასხვა უბანში.

საცხოვრებელ კომპლექს „ოპტიმა ისანში“, ოპტიმალური დაგეგმარების ხარჯზე, შესაძლებელია, სასურველი ფართის მქონე ბინის შეძენა ნაკლებ ფასად. ამასთანავე, გარემონტებული ბინის შეძენით ზოგავთ დროს, ფულსა და ენერგიას.

**„ოპტიმა ისანი“ კომპანია „$m^2$“-ის ოპტიმალური ხაზის პირველი პროექტია, რომელშიც 2-ოთახიანი გარემონტებული ბინის შეძენა 29,000 აშშ დოლარიდან არის შესაძლებელი.**

კომპანია „$m^2$“ მომხმარებელს სიახლეს მოსახერხებელი შიდა განვადებისა და იპოთეკური დაკრედიტების თვალსაზრისითაც სთავაზობს. კერძოდ, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს ბინა „საქართველოს ბანკის“ უფრო გრძელვადიანი იპოთეკური სესხით, რაც ყოველთვიურ შენატანს საგრძნობლად შეამცირებს. მაგალითისთვის: იპოთეკური სესხით **2-ოთახიანი ბინის შეძენა „ოპტიმა ისანის“ საცხოვრებელ კომპლექსში თვეში 213 აშშ დოლარიდან იქნება შესაძლებელი; სამოთახიანის – 329 აშშ დოლარიდან, ხოლო ოთხოთახიანის – 495 აშშ დოლარიდან.**

რაც შეეხება „ოპტიმა ისანის“ მდებარეობას, 238-ბინიანი სამშენებლო კომპლექსი თბილისში, მოსკოვის გამზირის 14ა-ში მდებარეობს. ორი დამოუკიდებელი კორპუსი 5,237 კვ.მ-ზე იქნება განთავსებული. „$m^2$“-ის სხვა პროექტების მსგავსად, „ოპტიმა ისანიც“ ენერგოეფექტური იქნება. კერძოდ, მობინადრეებს კომუნალური გადასახადების დაახლოებით 23 პროცენტი დაეზოგებათ.

აღსანიშნავია, რომ „ოპტიმა ისანი“ საცხოვრებელ კომპლექსში ბინები ბარდება დასრულებული რემონტით. შესაბამისად, მობინადრეები შეძლებენ პირდაპირ შევიდნენ და იცხოვრონ საკუთარ ბინებში. **სრულად გარემონტებულ ბინაში კი მათ დახვდებათ სამზარეულო, ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით.** საცხოვრებელი კომპლექსი „ოპტიმა ისანი“ აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით: ავტოსადგომი, სათამაშო მოედანი და რეკრეაციული ზონა. დამატებითი კომფორტისთვის საცხოვრებელი კომპლექსი უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებითა და კომპლექსის მოვლის მომსახურებით. საცხოვრებელი კომპლექსის „ოპტიმა ისანი“ მშენებლობა 2016 წლის ივლისში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობა დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ და რისკები გადაზღვეულია ACE Europian Group-ში.

**ირაკლი ბურდილაძე, „$m^2$“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:**

– „$m^2$“-მა თავისი პროდუქტების ახალი ხაზი შეიმუშავა – ეს გახლავთ „ოპტიმა“, რის შესახებაც რამდენიმე თვის წინ განვაცხადეთ კიდეც. მაშინ ჩვენს კლიენტებს დავპირდით, რომ უახლოეს მომავალში შევთავაზებდით ოპტიმალური დაგეგმვის ბინებს ოპტიმალურ ფასში. დღეს სწორედ პირველი ასეთი პროექტის, „ოპტიმა ისანის“ გაყიდვები დავიწყეთ.

**— ბატონო ირაკლი, რით იქნება გამორჩეული „ოპტიმა ისანი“ სხვა პროექტებისგან?**

– პირველ რიგში, ეს არის ოპტიმალური დაგეგმარება, რაც გვაძლევს საშუალებას, მივიღოთ ოპტიმალური ფასი და შესაბამისად, ბინები გავხადოთ ხელმისაწვდომი უფრო ფართო საზოგადოებისთვის. „ოპტიმას“ სამშენებლო ხაზის პროექტების საშუალებით უფრო მეტ ოჯახს მივცემთ საშუალებას, შეიძინოს ბინა და გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები თბილისში.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „$m^2$“-ის სხვა პროექტების მსგავსად, „ოპტიმაც“ იქნება ენერგოეფექტური. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, რასაც „$m^2$“ მშენებლობისას იყენებს, მობინადრეს საშუალებას მისცემს, კომუნალურ გადასახადებში დაახლოებით 23 პროცენტი დაზოგოს, რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი შეღავათია.

**— „$m^2$“ არც ამ შემთხვევაში დაარღვევს „ტრადიციას“ და მობინადრეებს ბინებს დასრულებული რემონტით შესთავაზებს?**

– დიახ, „ოპტიმა ისანის“ შემთხვევაშიც, ბინები მფლობელს გარემონტებული ჩაბარდება, რაც „$m^2$“-ის პოლიტიკა გახლავთ. გარდა ამისა, იქნება კეთილმოწყობილი გარემო, 24-საათიანი დაცვა, კომპლექსი აშენდება ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმების დაცვით, რაც, ყველა დამეთანხმება, ძალიან მნიშვნელოვანია.



გარდა იმისა, რომ ჩვენ, „$m^2$“-მა, ბაზარს შევთავაზეთ ინოვაციური პროდუქტი, გაიზარდა ამ პროდუქტზე ხელმისაწვდომობაც, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ ბინის შეძენის მსურველს „საქართველოს ბანკი“ საშუალებას აძლევს, 20-წლიანი იპოთეკური სესხით ისარგებლოს და ყოველთვიური გადასახადი მნიშვნელოვნად შეამციროს. შესაბამისად, კიდევ უფრო მეტ ადამიანს აქვს საშუალება, შეიძინოს ბინა „ოპტიმა ისანში“.



# სააკაშვილისთვის ჩამოსართმევი რა ქონება არ მოხვდა პროკურატურის სიაში?

„ქართული დასის“ ლიდერის, ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, „სააკაშვილის დაყადაღებული სიის ჩამონათვალს რომ გადავხედე, ეჭვი გამიჩნდა, რომ ეს ყოველივე „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნების“ თამაშს ჰგავს. თუ მის საკუთრებაში მხოლოდ ის ქონებაა, რომელიც დაყადაღებულ სიაშია, სათქმელიც არაფერია. ისმის კითხვა: რატომ არ მოხვდა მსხვილი კომპანიები დაყადაღებული ქონების ჩამონათვალში?“

შეგახსენებთ, ჯონდი ბაღათურიამ სწორედ ახალი ხელისუფლების პირობებში გადასცა დოკუმენტური, აუდიო-ვიდეომტკიცებულებით გამყარებული მასალები საქართველოს პროკურატურას, რომელიც ექსპრეზიდენტის ქონების ჩამონათვალს წარმოადგენს.

**„ალიას“ ჯონდი ბაღათურია ესაუბრა:**

**— ბატონო ჯონდი, სააკაშვილისთვის ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებით, „,ოცნება“-ნაციონალების“ თამაშზე რატომ გაგიჩნდათ ეჭვი?**

– როგორც კი გადავხედე სიას იმ ქონებისას, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ სააკაშვილს დაუყადაღა, კიდევ ერთხელ გამიჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლება რეალურად არც სააკაშვილის დაკავებას, არც ქონების ჩამორთმევას არ აპირებს. საქმე ისაა, რომ დაყადაღებული ქონების ნუსხაში შესულია სააკაშვილის ბიოლოგიური თუ იურიდიული ოჯახის კუთვნილი ქონების, ალბათ, მხოლოდ 1%. ეს არის ჩოხატაურში არსებული 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ბებიის „ჰონდა“, რომლის ფასი მაქსიმუმ 5 000 დოლარი იქნება. საქმეში ჩაუხედავი კაცი ან უცხოელი რომ ნახავს დაყადაღებული ქონების სიას, იტყვის, ეს კაცი პატიოსანი ყოფილა და რაღაცებს აბრალებენო. გამოდის, რომ ქართველი ხალხი ტყუის, როცა ამბობს, რომ სააკაშვილმა დიდძალი ქონება მიისაკუთრა. ეს დოკუმენტები კი საპირისპიროს ადასტურებს.

**— ფიქრობთ, დაყადაღებული ქონების სიაში შეგნებულად გამოტოვეს რამე?**

– დიახ, ჩემი აზრით, შეგნებულად არ იქნა შეყვანილი სოლიდური ქონება ამ სიაში იმისთვის, რომ გამოჩენილიყო, თითქოს ეს ქონება მითვისებული არაა.

**— მაინც, რა გამორჩათ?**

– ერთ-ერთი შემიძლია გითხრათ იმ ქონების ჩამონათვალიდან, რაც არ აქვთ ნუსხაში შეტანილი. პრეზიდენტის დედის, გიული ალასანიას მფლობელობაშია შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“. ეს არის იურიდიული პირი, რომლის 37,5% არის მისი, ამდენივე პროცენტი წილი აქვს გიულის დაქალს, სანოძეს, 12.5-12.5% ედუარდ რაუფსა და ნიკოლოზ ალასანიაზე ნაწილდება. ეს ნიკოლოზი გახლავთ სააკაშვილის დედის ძმისშვილი. როცა შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ შეიქმნა, ის მოქმედებდა საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში, ამიტომ დააგროვა უამრავი ქონება. ასეულობით მილიონი ლარი აქვს დაგროვილი ამ გზით. ამ ყველაფრის მერე მაქვს ეჭვი, რომ ყველაფერი თამაშია სააკაშვილთან დაკავშირებით.

**— რა არის ამ თამაშის მიზანი „ოცნების“ მხრიდან?**

– „ოცნებას“ უნდა იმის დემონსტრირება, ვითომდა სააკაშვილს ებრძვის, მთავარი ბრალდება კი ხალხის მხრიდან „ოცნების“ მიმართ არის ღალატი იმ ნდობის, შეპირების, რომელიც 2012 წლის არჩევნებამდე მისცეს. ეს არაა სამართლიანობის აღდგენა, წართმეულის დაბრუნება, სააკაშვილის და მისი ბანდის გასამართლება. ორი სახის ქონებაა მითვისებული: ერთი, სახელმწიფოსგან და მეორე კერძო პირებისგან. ივანიშვილმა რომ დაიბრუნა უკანონოდ ჩამორთმეული ქონება, სხვასაც უნდა თავისი ქონების დაბრუნება.

**— დიდი ხანია საუბრობთ, რომ თქვენ მიერ გადაცემული 180-გვერდიანი ქონების ჩამონათვალი მაგიდაზე უდევს პროკურატურას, მას გაცნობილები არიან კიდეც და რეაგირება არ მომხდარა. ბოლო ინფორმაციით, როგორ იცით, მინიმუმ, იმ დოკუმენტებში მაინც ჩაიხედეს?**

– კარგია, რომ ეს თქვენ გახსოვთ, სამწუხაროდ, მათ არ ახსოვთ. ეს არის 186-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას მითვისებული ქონების შესახებ. მას ახლავს ფოტომასალა და მისამართები, სხვა დოკუმენტებით. რახან პროკურატურამ ეს უზარმაზარი შეკვრა „ვეღარ იპოვა“, ვაპირებ, პარასკევს გავაკეთო ხელახალი პრეზენტაცია ამ ქონების ჩამონათვალის. თუ უჭირს ხელისუფლებას ქონების მოძიება, იხელმძღვანელონ ჩემი დოკუმენტებით და იქ იპოვიან ყველაფერზე პასუხს. ისე, მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, სიტყვის პატრონები იყვნენ, თუ პოლიტიკოსი ხარ, სიტყვა არასდროს უნდა გატეხო, მით უმეტეს, ამ საკითხში.

**— ბატონო ჯონდი, როგორც მითხრეს, არასაპარლამენტო ოპოზიცია გააქტიურებას იწყებთ საარჩევნო კოდექსის შეცვლის მიზნით. ეს თემა მუდმივად „აქილევსის ქუსლია“. რამდენად გაქვთ იმედი, რომ მოთხოვნას დაგიკმაყოფილებენ?**

– წლების განმავლობაში ნათლად გამოიკვეთა, რომ ჩვენ ვერ მივაღწიეთ თანაბარი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას. ამის გამო ჩვენ გვჭირდება საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და სამართლიანი საარჩევნო კოდექსი. მაგალითად, ბოლო თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ აიღო 44%, მაგრამ საკრებულოში 75% მიიღო მანდატების. ეს სამართლიანია? ეს ყველაფერი მოხდა იმის გამო, რომ მახინჯი სისტემა გვაქვს ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებისა. ივანიშვილს ვეთანხმები, როცა თქვა, რომ მაჟორიტარი ჩამოყალიბდა, როგორც პატარა ფეოდალი. ეს არის პარაზიტული სისტემა, რომელიც სამართლიანი შედეგების ასახვას ხელს უშლის, პარაზიტები კი ხელს უშლიან კონკრეტული რაიონის განვითარებას. ამიტომ სისტემა უნდა შეიცვალოს. ასევე, შესაცვლელია საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესიც. წლებია, ამაზე ვმუშაობთ, მერე გვეუბნებიან, რომ რაღაც არ ესწრება და რჩება ისევ ეს საკითხი ღიად. საყოველთაოდ მიღებული სტანდარტით, არჩევნებამდე მინიმუმ ერთი წლით ადრე მაინც უნდა დაიწყოს ამ საკითხებზე მსჯელობა, რომ ყველაფერი მოესწროს, ამიტომ ახლა ვაპირებთ გააქტიურებას.

**— თავად „ოცნებაც“ წუწუნებდა ამ საკითხზე, როცა ოპოზიციაში იყო, მერე მიხვდა, რომ დიდი ცდუნება იყო და არ მოგცათ შესაძლებლობა თქვენი გაგეტანათ. ამიტომ გკითხეთ, ახლა რა გარანტიაა, რომ იგივე არ მოხდება? ამ მოთხოვნაში მაინც ერთიანდებით არასაპარლამენტო პარტიები?**

– ახლა იმიტომ გვინდა სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომ მერე ვერ თქვას „ოცნებამ“, რომ რაღაც ვერ ესწრება. მან აირჩია გზა პრიმიტიულად, უკანონოდ ხელისუფლების შენარჩუნების. ამით ისარგებლეს დაბალრეიტინგიანმა პარტიებმა, რომლებიც პარლამენტში არიან. იმდენად დიდია სურვილი საარჩევნო კოდექსის შეცვლის, რომ ყველასთან გვექნება კოორდინაციის საშუალება. თანამშრომლობა აუცილებლად უნდა მოხდეს. არასამთავრობოებიც გვიერთდებიან ამ მოთხოვნაში. სრული კონსენსუსი არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით. რეფორმის აუცილებლობაზე თეა წულუკიანიც დამეთანხმა, დამპირდა, რომ დააფიქსირებს ამ პოზიციას სამუშაო ჯგუფის ფარგლებშიც. ვნახოთ, რა იქნება. ვფიქრობ, ამ პროცესში პარლამენტიც ჩაერთვება და დიპკორპუსიც.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პეკინის ქუჩაზე ქალი დაჭრეს



22 სექტემბერს გვიან ღამით პეკინის ქუჩაზე ქალი დაჭრეს. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა ჟურნალისტმა ზაზა სვანაძემ გადაიღო და გაავრცელა. როგორც კადრებიდან და დაზარალებულის ნაამბობიდან ირკვევა, მოძალადე მამაკაცი მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, შემდეგ კი ჩანთის წართმევა სცადა. მას შემდეგ, რაც ქალმა ჩანთა არ დათმო, მამაკაცმა დანა ამოიღო და ქალს მარცხენა ხელზე დაუსვა. ქალმა მაჯაზე მიიღო ჭრილობა და მცირე ნაკაწრი ყელზეც დარჩა.

ძარცვის მცდელობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი მიიმალა. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოჩენილმა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა, მანამდე კი დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება მოქალაქეებმა აღმოუჩინეს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტოტალიზატორი „ლიდერ ბეთი“ გაქურდეს

ქუთაისში გვიან ღამით ტოტალიზატორი „ლიდერ ბეთი“ გაქურდეს. არსებული ინფორმაციით, ტოტალიზატორის სალაროდან 6 000 ლარია წაღებული. ფაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროშიც დაადასტურეს. უწყების პრესსამსახურის ცნობით, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს. (ფრონტნიუსი)

LIDER-BET



## თავდაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარ როლთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს:

„საქართველო, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორი და ნატოსთან ყველაზე თავსებადი ქვეყანა, განიხილავს, რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ტერორიზმის წინააღმდეგ კოალიციის მიზნების მიღწევაში. საერთაშორისო პარტნიორებთან და კოალიციის წევრებთან ერთად განიხილება სხვადასხვა გზები ტერორიზმის საფრთხის გასანეიტრალებლად, რომელიც საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობასა და დემოკრატიულ განვითარებას. მოკავშირეებთან ერთად განხილული არც ერთი ვარიანტი არ შეიცავს ქართული საჯარისო დანაყოფების მივლინებას საომარი მოქმედებების ზონაში. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ამერიკული გამოცემა Foreign Policy აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელზე დაყრდნობით იუწყება, რომ საქართველომ აშშ-ის სირიელი ამბოხებულების საწვრთნელი ცენტრის განთავსება შესთავაზა, სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ აშშ-ის წარმოებული თავდასხმების ფარგლებში.

სტატიის მიხედვით, თანხმობის შემთხვევაში შეთავაზება შესაძლოა, დაემატოს თეთრი სახლის არსებულ გეგმას, ხუთი ათასი სირიელი მეამბოხის გაწვრთნის შესახებ მომავალ წელს, საუდის არაბეთში ექსტრემისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს კი მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს როლს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში. (ფრონტნიუსი)



# რატომ დასჭირდა ნათია მიქიაშვილს ჯანყარაშვილზე „დარტყმა“?

ბრძოლა წესების გარეშე თუ ვიღაცის კარნახით გაკეთებული ჟურნალისტიკა? რას ნიშნავს „ანატომიის“ ეპატაჟური წამყვანის, ნათია მიქიაშვილს განცხადება, რომ მას პრემიერის ნათესავი ემუქრება?!

ხშირად, როცა სიტყვები აზრს კარგავს, გენიოსების ფრაზები არ გტოვებს და ჭაბუა ამირეჯიბის გენიალური ნაწარმოებიდან, დათა თუთაშხიას ფრაზები ამოგიტივტივდება: „ჯონჯოლია! – კი ხარ მოსაკლავი, მაგრამ ჩემი ხელით არ შეიძლება შენი სიკვდილი: იტყვიან, მას რომ ესროლა, მიტომ მოკლა თუთაშხიამო. მე რომ მესროლე, ამისთვის კი არ ხარ მოსაკლავი... ფულის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეგიძლია, ამისთვის ხარ სიკვდილის ღირსი და დაიხსომე ჩემი სიტყვა, შენი სიხარბე და დაუნდობლობა მალე მოგიღებს ბოლოს!“

ემუქრება თუ არა, პრემიერის ახლო ნათესავი ზვიად ჯანყარაშვილი ნათია მიქიაშვილს, ამას სამართალდამცავი სტრუქტურები გაარკვევენ და თუკი მიქიაშვილის დაანონსებული ამბავი გამოუძიებელი დარჩება, ხელისუფლება იმაზე ადრე დაემხობა, ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოუდგენია, მაგრამ თუკი დადგინდა, რომ მიქიაშვილი ცრუობს და სააკაშვილის გუნდის ხელში „იარაღად“ იქცა, მაშინ, მიქიაშვილს მოუწევს პასუხი აგოს, ცილისწამების გამო.

„ალია“ წინა ნომერში წერდა: „ქვეყანაში სააკაშვილის მართული ტელევიზიები, დიდი ხანია ნადირობენ ხელისუფლების კომპრომატებზე, თუმცა პრაქტიკულად ვერ მოხერხდა აქამდე „ციხის სკანდალური“ კადრების გადაფარვა, მაგრამ ჯოჯოხეთის მანქანა ჩართულია და როგორც კარგად ინფორმირებული წყარო გვატყობინებს, სააკაშვილის დანაშაულებრივი პოლიტიკის ანატომიას, მალე ჩაანაცვლებს ამ ხელისუფლების ანატომია. ის, რომ „რუსთავი 2“-ის დე ფაქტო პატრონი სააკაშვილია და მასთან შეუთანხმებლად ჟურნალისტი კი არა, დამლაგებელიც კი ვერ იწყებს მუშაობას, ეს უკვე წაკითხული წიგნია და მიშას ხელწერა ეკრანს შეუიარაღებელი თვალითაც ეტყობა, „რუსთავი 2“ სააკაშვილის კვალდაკვალ დადის ნიუ-იორკში, კიევში თუ მის პოლიტიკურ საპირფარეშოში. ისიც გასაგებია, ვის რა ვალდებულება აქვს ნაცელიტასთან, თუმცა ძალიან გაუგებარია ზოგიერთი ჟურნალისტის მიშას არხზე გადასვლა, ვინც წლების მანძილზე სწორედ მისი მხილებით იყო დაკავებული და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიშასა და მისი რეჟიმის პოლიტიკურ სამარეს პირველმა ჩაარტყა ნიჩაბი, როცა 2006 წელს გირგვლიანის მკვლელობის სკანდალური ფაქტი ღია და საჯარო გახადა. „ანატომიის“ ავტორისა და წამყვანის „რუსთავი 2“-ზე გადაბარგება ისეთივე შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ჟურნალისტურ წრეებში, როგორც მისი სიუჟეტი გირგვლიანზე, საიდანაც მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ გირგვლიანი მერაბიშვილის უწყების თანამშრომლებმა მოკლეს. სააკაშვილმა მის წინააღმდეგ მომართული იარაღი ხელში ჩაიგდო და უკვე გასაგებია, რისთვის გამოიყენებს ის ამ „იარაღს“...

ეშმაკთან წილი ნაყარია და ხელისუფლებაზე სისტემური დარტყმები დაწყებული. და მაინც, ვინ იქნება მთავარი სამიზნე? მთავარი სამიზნე პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილია, სააკაშვილისა და მისი მკვლელი რეჟიმის დაუძინებელი მტერი უნდა განეიტრალდეს, ასეთია დავალება. ჩვენი ინფორმაციით, იგეგმება ფართომასშტაბიანი იერიშის მიტანა ღარიბაშვილზე, რომელსაც სააკაშვილის ტელევიზიით მიეძღვნება გადაცემათა ციკლი, რაც პირდაპირ პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად“.

„ალია“ სანდო წყაროზე დაყრდნობით ასევე წერდა, რომ პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად ირაკლი ღარიბაშვილი მისი მეუღლის მამიდაშვილის, ზვიად ჯანყარაშვილის კანდიდატურას განიხილავს, რასაც გუნდში პარტიის ზოგიერთი ლიდერის გაღიზიანება მოჰყვა, ერთი მარტივი მიზეზის გამო, ჯანყარაშვილის დანიშვნა ნიშნავს, პარტიიდან მოღალატეების წასვლას და ამბიციური ლიდერების დაოკებას, რომლებმაც მიხეილ სააკაშვილის ბიზნესპარტნიორები გადმოიბარეს და მათ მისცეს ხელშეუხებლობის გარანტია, დიდი ფული კი მათ ამბიციას უჩენს, აბსოლუტური ძალაუფლება ხელში ჩაგდონ, მიუხედავად ბიძინა ივანიშვილის შენიშვნებისა, რომ „ოცნების“ ლიდერები ჩამოსცილდნენ სააკაშვილთან ასოცირებულ ბიზნესელიტას. შენიშვნა შენიშვნად დარჩა, სამაგიეროდ გააფთრებული მუშაობაა „უფრო მეტისთვის“... „უფრო მეტის“ მისაღებად კი ყველაფერი მოსულა – ჩაძირვა, ჩაწიხვლა, ჩაკორტნა... ქართულ პოლიტიკაში არ ამართლებს თანამებრძოლების გვერდით დაყენება, უახლესი პოლიტიკური პროცესებიდან თუ ვიმსჯელებთ, სწორედ თანამებრძოლები უთხრიან სამარეს გამოკვეთილ ლიდერს, ამიტომაც ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, თანამებრძოლს თანამოაზრე უნდა ჩაანაცვლო, მხოლოდ თანამოაზრეებს შეუძლიათ შექმნან ერთიანი გუნდი, სწორედ ეს გზა არჩია ღარიბაშვილმა, რასაც ზვიად ჯანყარაშვილის ხელით გააკეთებს.

ახლა კი მთავარი, დაემუქრა თუ არა ჟურნალისტ მიქიაშვილს ზვიად ჯანყარაშვილი? „ალია“ მთელი დღის მანძილზე არკვევდა, რა მოხდა სინამდვილეში, ჩვენ ამ თემას კვლავ მივუბრუნდებით, თუმცა ამ დროის მონაცემით, ცნობილი ხდება, რომ ზვიად ჯანყარაშვილი ამ მუქარის ავტორი არ არის... ნათია მიქიაშვილმა კი პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჯანყარაშვილი მოითხოვდა, რომ გადაცემა, რომელშიც ის ერთ-ერთი მონაწილე პირი იყო, ეთერში არ გასულიყო. „ჯანყარაშვილმა დაიბარა ჩემი ოჯახის წევრი გუშინწინ საღამოს და უთხრა, რომ, თუ მე ამას გავაკეთებდი და ეს გადაცემა გავიდოდა, ძალიან ცუდად მომექცეოდა და ძალიან ცუდ რამეს გამიკეთებდა მე და ჩემი ოჯახის წევრებს“.

მიქიაშვილის განცხადებით, მან პირადად შეატყობინა მომხდარის შესახებ პრემიერს, რათა მიეღო გარანტია მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე, თუმცა ამ საკითხზე რეაგირება ირაკლი ღარიბაშვილს არ მოუხდენია. ჟურნალისტი მიმართავს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, დაიცვან ჟურნალისტის უსაფრთხოება და დაინტერესდნენ მომხდარით. „დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი ამ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დატოვებს“. – დასძენს მიქიაშვილი. ყველაზე დიდი უცნაურობა მის განცხადებაში კი ისაა, რომ თურმე მიქიაშვილი, რომელიც 9 წელი ამზადებდა „ანატომიას“ „ნაციონალურ მოძრაობაზე“, მსგავს ფაქტს მათგან ადგილი არ ჰქონია.

ახლა, ჩვენ რა ვქნათ, ვისაც კარგი მეხსიერება გვაქვს და ანალიზის უნარი, უსამართლობის მორევში გადავეშვათ, დავბრმავდეთ, დავმუნჯდეთ, თუ დავყრუვდეთ? ძვირფასო წამყვანო, გუშინწინ თუ დაგემუქრნენ, ამერიკაში მიმავალი პრემიერ-მინისტრი ჰაერიდან ვერ იფოკუსნიკებდა, ვერც დაცვას გაგიძლიერებდა და ვერც დამნაშავეს აუწევდა ყურებს. აი, თქვენ რაში დაგჭირდათ, ახლა ამ ამბის გასკანდალება, როცა ქვეყნის სახელით პრემიერი გაეროში სიტყვით გამოდის. ნეტავ, ეს გამაგებინა (ისე კი მეცინება), როცა ამბობთ, „ნაციონალების დროს“ არავინ მემუქრებოდაო... ეჰ, ნათია, მართლა ბრმა ყოფილა სიყვარული, რომელიც ადამიანს ხან აბოროტებს, ხან „აბაროტს“ აღებინებს და ხანაც აკნინებს... წამით „გადაახვიე“ ფირი და პასუხს იპოვი, რატომ არ გემუქრებოდნენ „ნაციონალები“. თუმცა, ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი საინტერესო პასუხს გცემს: „ქალბატონო ნათია, თურმე ღარიბაშვილის ცოლის მამიდაშვილი, შს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი, ვინმე ჯანყარაშვილი ემუქრება ჟურნალისტ ნათია მიქიაშვილს. ეს უკანასკნელი ამბობს, რომ მსგავსი რამ წინა ხელისუფლების დროსაც კი არ მომხდარა. ნათიას მინდა გავახსენო, რომ წინა ხელისუფლების დროს, სწორედ მისი გადაცემის გასვლის წინ, რომელიც გირგვლიანის მკვლელების ციხეში ყოფნას ეხებოდა (სავარაუდოდ, ძალოვნებმა), ხელყუმბარა შემოგვიგდეს ტელევიზიაში, თანაც პირდაპირი ეთერის დროს (აფერუმ „ოცნებას“, რომ საქმე დღემდე გამოუძიებელია), აფეთქების შემდეგ კი პატრული, რომელსაც დახმარება ვთხოვეთ, მანქანაში ჩაჯდა და გაიქცა. „მაესტროს“ ხელმძღვანელებს კი ზოგს მიწაში ჩადებით და ზოგსაც ციხეში ამოლპობით გვემუქრებოდნენ. ის, რომ დღევანდელი ხელისუფლება ხშირად უკადრებელს მიირთმევს, არ ნიშნავს იმას, რომ მიშას ეპოქა დავივიწყოთ, სადაც პირდაპირ ეთერში არათუ ემუქრებოდნენ, სცემდნენ ჟურნალისტებს და არბევდნენ ტელევიზიებს (სხვათა შორის შენი ჩართვის შემდეგ). წარსულის დავიწყება, უკეთეს მომავალს არ მოგიტანს, ჩემო ნათია“.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჭიკაიძემ პარლამენტში გამოცხადებაზე ამჯერადაც უარი განაცხადა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ პარლამენტში, „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის სხდომაზე გამოცხადებაზე უარი თქვა. აღნიშნულთან დაკავშირებით მინისტრის პასუხი საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გაგზავნილი ოფიციალური წერილით შეიტყვეს.

როგორც დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, „ოპოზიციონერ დეპუტატებსა და ჭიკაიძის უწყებას შორის მსგავსი შინაარსის მიმოწერა უკვე 5 თვეა, გრძელდება“.

„გვინდოდა, მინისტრისგან მოგვესმინა რეალური სურათი კრიმინოგენურ ვითარებასთან დაკავშირებით და არა ის გაყალბებული სტატისტიკა, რომელსაც გვაჩვენებენ. ამ სტატისტიკის შემდეგ ფონი უფრო დამძიმდა, ჩვენი მიმოწერა – ეპისტოლარული ჟანრი გრძელდება. მინისტრისგან ყოველთვის არის პასუხი, რომ მას არ აქვს დრო, თუმცა მან იცის, რომ ვალდებულება აკისრია, მოვიდეს პარლამენტში“, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

მმართველი კოალიციის წევრი დეპუტატები კი მიიჩნევენ, რომ არ არსებობს აუცილებლობა, ჭიკაიძე პარლამენტში გამოცხადდეს. მათი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნის მიზანს მთავრობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაცია წარმოადგენს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 104 ათასი ლარის სათვალთვალო კამერა „საზოგადოებრივ მაუწყებელში“





საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 167 სათვალთვალო კამერა შეისყიდა. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული და თავად „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორიც ადასტურებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით, ტენდერის სავარაუდო ღირებულებად 105 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. ხელშეკრულება შპს „ბუმთან“ გაფორმდა, კომპანიის მიერ შეთავაზებული თანხა კი 104 291 ლარს შეადგენს. როგორც გიორგი ბარათაშვილმა განაცხადა, კამერები როგორც დერეფნებში, ასევე სტუდიებსა და იმ ოთახებში დამონტაჟდება, სადაც აპარატურაა განთავსებული. ამას გარდა, ბარათაშვილი ამბობს, „ჩვეულებრივი ამბავია, ტელევიზიაა. ბუნებრივია, აქ იყო ძველი სისტემა, რომელიც 7 წლის წინათ არის დაყენებული და ამიტომ იცვლება. კეთდება იმისთვის, რომ იყოს დაცული, ოთახებში არ იქნება. კამერები განთავსდება დერეფნებში, სტუდიებსა და სამონტაჟო ოთახებში, მხოლოდ იქ, სადაც აპარატურა და ტექნიკაა. არსებული სისტემა იყო უკვე, ეს ანალოგიური სისტემაა, უბრალოდ, ის მოძველდა და ახლით ვცვლით“, – განაცხადა ბარათაშვილმა. (პირველი რადიო)

## ავღანეთიდან ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მორიგი ნაკადი დაბრუნდა




სპეციალური ოპერაციების ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის მორიგი ნაკადი ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები „აისაფის“ მისიის ფარგლებში, ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში, 6 თვის განმავლობაში ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე მსახურობდნენ.

ალექსეევკას სამხედრო აეროდრომზე 151 სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე დახვდა. მან ქართველ სამხედროებს საქართველოში დაბრუნება მიულოცა მისიის წარმატებით განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# საქართველოში ნარკოტიკები უკვე სარეცხ ფხვნილად შემოდის?

**დღე არ გავა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება არ ამოიღოს და რამდენიმე ადამიანი არ დააპატიმროს. ეს ყველაფერი თვის ბოლოს თუ წლის ბოლოს საზოგადოებისთვის მხოლოდ სტატისტიკად იქცევა, მაგრამ საინტერესოა, რა ხდება ამ მხრივ საქართველოში, რა სახის ნარკოტრასები არსებობდა „ნაციონალების" მმართველობის პერიოდში და რა ტრასები შეიძლება არსებობდეს დღეს?**

**„ალიას" ნარკოტიკებისა და დანაშაულის მონიტორინგის ცენტრის დირექტორი, პაატა ნოზაძე ესაუბრება:**

– არსებობს სამი ძირითადი ნარკოტრასა: პირველი – „ჩრდილოეთის გზა": ავღანეთი-ცენტრალური აზია-რუსეთი; მეორე – ბალკანური გზა: ავღანეთი-ირანი-თურქეთი-ევროპა; მესამე – სამხრეთის მიმართულება, ავღანეთი-პაკისტანი და პაკისტანის საზღვაო პორტებიდან ნებისმიერი მიმართულებით. ეს არის 3 ძირითადი მიმართულება, მაგრამ ავღანეთიდან მოემართება 113 ძირითადი მარშრუტი. თუ სადმე ერთი გადაიკეტა, ნარკომაფიას აქვს საშუალება, სათადარიგო მარშრუტით ჩაანაცვლოს ან გაზარდოს დატვირთვა სხვა ძირითად მარშრუტზე. ყველა ქვეყანაში ნარკოტიკების შეღწევის რამდენიმე გზა არსებობს და ყველა გზის ერთდროულად გადაკეტვა არ შეუძლიათ ჩვენზე ძლიერ და მდიდარ სახელმწიფოებსაც კი. აზერბაიჯანზე მოდის უკვე 39 მარშრუტი, ხოლო საქართველოს მიმართულებით არსებობს 6 ძირითადი მარშრუტი. სხვათა შორის, ევროპაში ჩვენი მეზობელი თურქეთიდან შედის ჰეროინის 85 პროცენტი, საქართველო არის ძირითადად ტრანზიტული ქვეყანა, აქ შემოტანილი ნარკოტიკების ნაწილი რჩება ადგილობრივი მოხმარებისთვის, დანარჩენი გადის ევროპაში.

აქ რა რაოდენობის ნარკოტიკია გადაზიდული, კაცმა არ იცის, აქ ფიქსირდება მხოლოდ ცალკეული შემთხვევები, რაც არის ზღვაში წვეთი. მაგალითად, 2007 წელს ილიჩევსკის პორტის სამართალდამცავებმა ორჯერ ამოიღეს ავღანური ჰეროინი, პირველად – 175 კილოგრამი, მეორედ – 105 კილოგრამი. 2008 წელს ბურგასში ამოიღეს 200 კგ ავღანური ჰეროინის ბრიკეტები. სამივე შემთხვევაში ნარკოტიკი გავიდა ფოთის პორტიდან ბორნის საშუალებით, ფოთის პორტში კი შევიდა აზერბაიჯანიდან წითელი ხიდის საბაჟოს გავლით. კი, ბატონო, ამ შემთხვევებში ნარკოტიკები ამოიღეს, მაგრამ საქართველოში ხომ მშვიდობიანად გაიარა? როგორ ფიქრობთ, ეს პირველი ცდა იყო? სანამ ილიჩევსკსა და ბურგასში ტვირთს დააკავებდნენ, რამდენჯერ გაიარეს იგივე მარშრუტი იმავე ტრაილერებმა ჩვენი ქვეყნის გავლით? რა თქმა უნდა, ეს არ იყო პირველი შემთხვევა. ნარკოტიკების დაჭერა ძალიან ძნელია, თუ არ გაქვს წინასწარი ოპერატიული ინფორმაცია, ყველა სახის ტვირთის გაჩხრეკა შეუძლებელია. არსებობს შერჩევითი შემოწმების მეთოდი, თუ წააწყდები, წააწყდები, თუ არა და ნარკომაფია თავის საქმეს აკეთებს. სადაც ტვირთები ჩავარდა, იქაც მეტწილად ადგილი ჰქონდა წინასწარი ინფორმაციის მოპოვებას. ტონობით ჰეროინი რომ აღმოაჩინო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიმართულება დაიკეტა, შეიძლება რამდენიმე დღით შეჩერდეს, მაგრამ მერე ისევ იწყება, საცდელი პარტია წამოვა, გაივლის – კარგია, არ გაივლის და არაუშავს. დღეს რომ ნარკობიზნესი წამგებიანი გახადო, წარმოებული პროდუქციის დაახლოებით ორი მესამედი მაინც უნდა ამოიღო. არადა, ამოღების საუკეთესო მაჩვენებელია 20-25 პროცენტი. მაფიამ ერთი, ორი და სამი ტვირთიც რომ დაკარგოს, ვიღაცას გული კი დასწყდება, მაგრამ წაგებაზე მაინც ვერ გავა, ეს წინასწარ აქვს დათვლილი. ტვირთის ჩავარდნით ის ადამიანები და სტრუქტურები ზარალდებიან, რომლებიც ჩართულები არიან საქმეში. 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღმოაჩინა 116 კილოგრამი ჰეროინი, შემდეგ იყო ფაქტი, როცა 2 ტონა და 790 კილოგრამი თხევადი ჰეროინი ამოიღეს. ამ ფორმით უფრო ადვილი გასატანია, დოკუმენტებში ჩაწერ სარეცხ ფხვნილს და იოლად გავა. ყველა ტრაილერი რომ შეამოწმო და ყველა სარეცხი საშუალება გასინჯო, ამისი არც დროა და ფიზიკურადაც შეუძლებელია.

**— პაატა, მინდა, რომ კიდევ დავაკონკრეტოთ, შეიძლება, რომ ამ ტონობით ნარკოტიკის უკან პოლიტიკური ძალა მდგარიყო?**

– ლოგიკურად შეიძლება ამის თქმა, მაგრამ მე ბრალს ვერავის წავუყენებ, ეს სამართალდამცავების საქმეა. ის ფაქტი, რომ წინა ხელისუფლება ყველა სახის ბიზნესს აკონტროლებდა, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ დიდ ნარკოტვირთებს დამოუკიდებლად ვერავინ შემოიტანდა. საერთოდ, ნარკომაფიას ურჩევნია, სამართალდამცავ სტრუქტურებთან დაამყაროს კავშირი, სწორედ მათთან, ვინც უნდა დაგიჭიროს და ტვირთი ამოიღოს. ამ შემთხვევაში დამნაშავეებს არ სჭირდებათ სხვა ხალხის ძებნა. სპეციალისტები ამბობენ, რომ დღეს ნარკობიზნესის ყოველწლიურად ბრუნვა ფასდება 600 მილიარდიდან 1 ტრილიონ დოლარამდე. როცა ასეთ თანხებზეა საუბარი, რა უნდა ჩინოვნიკის მოსყიდვას?

**— საინტერესოა, ნარკოტიკების შემოზიდვა სათავეს იღებს ავღანეთიდან, ავღანეთი ხომ ნატოს ჯარებისა და ამერიკელების ხელშია, არ შეუძლიათ, საერთოდ მოსპონ წარმოება და მწარმოებლები?**

– სხვათა შორის, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ნატოს ჯარებისა და ამერიკელების შესვლის შემდეგ ნათესების ფართობი და წარმოება უფრო გაიზარდა. მე არ ვიცი, ეს უბრალო დამთხვევაა თუ არა, მაგრამ ფაქტია, ნარკომაფიასთან ბრძოლა ნატოს ავღანური კონტინგენტის იურისდიქციაში არ შედის, მათი მანდატი უფრო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა.

**— ნარკომაფიოზები იგივე ტერორისტები არ არიან? ტერორისტები ფულს ძირითადად საიდან იღებენ?**

– ნარკომაფია და ტერორისტები ერთმანეთისგან საზრდოობენ, აქ მანკიერი წრეა შეკრული – სადაც ტერორიზმია, იქ არის ნარკომაფია და სადაც ნარკომაფიაა, იქ არის ტერორიზმი. იარაღი აქვთ, აცილებენ ტვირთებს და შემოსავალსაც იღებენ.

**— გამოდის, აქ ამერიკელების ინტერესებიც არსებობს.**

– ძნელია ამის მტკიცება. მსმენია, როცა ავღანეთში საბჭოთა ჯარი იყო შესული, თითქოს მაღალი ჩინის ოფიცრები იყვნენ გარეულები ამ საქმეში, ნარკომაფიას ახმარდნენ სამხედრო თვითმფრინავებს, ვერტმფრენებს, სხვა ტრანსპორტს. ცივი ომის პერიოდში კრემლში გეგმაც კი ჰქონდათ, ამერიკელებს ნარკოტიკები შევუგზავნოთ და ეგ მოუღებთ ბოლოსო.

**— თუკი ამაზე ფიქრობდნენ რუსები, რატომ არ შეიძლება, რომ დღეს იგივე იფიქრონ ამერიკელებმა?**

– ახლა შეგზავნა-შემოგზავნის საჭიროება არ დგას, ბიზნესის პრინციპია: სადაც არის მოთხოვნა, იქ არის მიწოდება, შენ გინდა თუ არა, იქ მაინც მიდის ნარკოტიკი. ნარკობიზნესში არის კიდევ ერთი განსაკუთრებული ფაქტორიც – სადაც არსებობს მიწოდება, იქ ჩნდება მოთხოვნა. მაგრამ დღეს ნარკობიზნესი მაინც სხვანაირად მიდის, საქართველოში რომ 100 ტონა შემოიტანო და დაყარო, ამდენი მომხმარებელი არ გვყავს, სადაც საჭიროა, იქ შედის იმ ოდენობით რამდენის ათვისებაც მოხდება. მაგალითად, რუსეთი ყოველწლიურად დაახლოებით 90 ტონა ოპიატებს მოიხმარს.

**— ჩვენთან როგორი მდგომარეობაა, რამდენს მოვიხმართ?**

– ამერიკის მთავრობის წინა წლების ოფიციალური ანგარიშების მიხედვით, ჩვენთან 200-250 ათასამდე მომხმარებელია. აქაური კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ჩვენ გვყავს 45 ათასი ინექციური მომხმარებელი, ვინც ნარკოტიკს იღებს ინტრავენურად. ზუსტი დათვლა შეუძლებელია, ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც არ ამხელს მოხმარების ფაქტს. არიან ისეთებიც, რომლებიც თურქეთში გადადიან, იქ „ერთობიან" და ისევ უკან ბრუნდებიან. ბევრი თვითონ ამზადებს სახლში კუსტარულად და ასე შემდეგ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურა თემურ ჯანაშიას ქონების დაყადაღებაზე განცხადებას ავრცელებს



„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, განვმარტავთ, რომ თეიმურაზ ჯანაშიასა და მისი ადვოკატის მიერ დღეს გაკეთებული განცხადება, რომ თითქოსდა ყადაღა დაედო თეიმურაზ ჯანაშიას საპენსიო ანგარიშს და მას შესაძლებლობა არ ეძლევა, ისარგებლოს კუთვნილი პენსიით, არის სიცრუე და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. გამოძიებით დადგენილია, რომ თ. ჯანაშიას საპენსიო ანგარიში გახსნილი აქვს „ლიბერთი ბანკში", ხსენებულ ანგარიშზე პროკურატურას ყადაღის დადება არ მოუთხოვია და თ. ჯანაშიას სრული უფლება აქვს, განკარგოს მასზე არსებული საპენსიო თანხა.

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს განჩინების საფუძველზე ყადაღა დაედო თ. ჯანაშიას იმ საბანკო ანგარიშებს, სადაც განთავსებულია ამ უკანასკნელის პირადი თანხა დაახლოებით 270 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის არსებობაც თ. ჯანაშიამ დამალა და არ ასახა საჯარო მოხელის ქონებრივ დეკლარაციაში. თეიმურაზ ჯანაშია ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო საჯარო მოხელე და ამ პერიოდში მიღებული შემოსავლები აშკარა შეუსაბამობაში მოდის მის მიერ შეძენილ უძრავ ქონებასთან და პირად ანგარიშებზე განთავსებულ თანხებთან, რომელთა წარმომავლობა გამოძიების შესწავლის საგანია.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე ყადაღა დაედო თეიმურაზ ჯანაშიას საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებას:

ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზ. 10-ში მდებარე 112.58 კვ/მ კომერციულ ფართს; ქ. ყვარელში მდებარე 2391 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს; ქ. ყვარელში მდებარე 1668 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს; მცხეთის რაიონში, სოფელ კოტორაანთკარში მდებარე 1500 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს; თ. ჯანაშიას ყოფილი მეუღლის ხათუნა ნუცუბიძის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებას; ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 800 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს; ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 2101 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს; ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5-ში მდებარე 74.20 კვ/მ საცხოვრებელ ბინასა და 25.10 კვ/მ ავტოსადგომს; ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-5 კვარტალში მდებარე 62.15 კვ/მ საცხოვრებელ ბინას;

ქ. თბილისში, გაგარინის ქუჩაზე მდებარე 18 კვ/მ ავტოსადგომს; შვილის, ნიკოლოზ თეიმურაზის ძე ჯანაშიას საკუთრებაში არსებულ ქონებას; ქ. ბათუმში, ნურეთინ ჩარმიქლის ქ. №5-ში მდებარე 53.69 კვ/მ მშენებარე საცხოვრებელ ბინას; შვილის სანდრო თეიმურაზის ძე ჯანაშიას საკუთრებაში არსებულ ქონებას; ქ. თბილისში, გაგარინის ქ. №1-ში მდებარე 104 კვ/მ საცხოვრებელ ბინას; თეიმურაზ ჯანაშიას სახელზე არსებულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ დაახლოებით 270 000 აშშ დოლარს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილ უფროსს თეიმურაზ ჯანაშიას ბრალად ედება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ორგანიზებით სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 392 827 ლარის გაფლანგვა, რითაც სახელმწიფოს მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. ვინაიდან არსებობდა საკმარისი მონაცემები, რომ მოსალოდნელი ქონებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, ბრალდებული თეიმურაზ ჯანაშია გაასხვისებდა ან სხვაგვარად გადამალავდა მისი და მასთან დაკავშირებული პირების სახელზე რიცხულ ქონებას, ასევე გადამალავდა მის საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხას, რაც ხელს შეუშლიდა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ბრალდებულ თ. ჯანაშიას ქონებასა და საბანკო ანგარიშებს დაედო ყადაღა..." – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)



# სქემა, რომლითაც იპოთეკარები საკუთარი ქონების გადარჩენას აპირებენ

**ორი დღის წინ იპოთეკით დაზარალებულების ნაწილი იუსტიციის სახლში შეიჭრა და გამოსახლებაზე გაცემული განკარგულება გააპროტესტა, თუმცა, კონკრეტული შედეგი ამ პროტესტს არ მოჰყოლია.**

**კონკრეტულად რაში ხედავენ გამოსავალს და როგორ ესახება ამ ხალხს პრობლემის მოგვარება ისე, რომ, ერთი მხრივ, არ დაზარალდეს ბიზნესი და მეორე მხრივ, მოსახლეობა უბინაოდ არ დარჩეს, ამასთან დაკავშირებით „ალიას" პოლიტპატიმარი ლევან ჩაჩუას ესაუბრა, რომელიც იპოთეკარების პრობლემების მოგვარების პროცესშია ჩართული.**

**— ბატონო ლევან, ეს დაზარალებულები რა კატეგორიის იპოთეკარები არიან?**

– აქ დაზარალებულების რამდენიმე კატეგორიაა, მათ შორის, 2008 წლის ომის დროს დაზარალებულები. მაშინ „ფორსმაჟორი" მხოლოდ ბანკების სასარგებლოდ ამუშავდა, 200 მილიონი გამოუყვეს ბანკებს და ეს ადამიანები უყურადღებოდ მიატოვეს. ამათ გარდა არიან კერძო იპოთეკით დაზარალებულები და მეანაბრეები. ყველაზე პრობლემური იპოთეკარები, რომლებიც საჯარო რეესტრის მონაცემებით უკვე უნდა გამოასახლონ, 102 000 ოჯახია, ანუ დაახლოებით 400 000-ზე მეტი ადამიანი. პრობლემურ განყოფილებას მითითება აქვს გადაცემული და ახალ წლამდე 72 000 ოჯახის გამოსახლება უნდა განხორციელდეს. აღსრულების პოლიციას 12 000 გადაეცა.

**— რა უნდოდათ იუსტიციის სახლში, კონკრეტულად რას ითხოვდნენ?**

– არანაირი ალტერნატივა არ არის მიღებული, გამოსახლება გადაწყვეტილია. იუსტიციაში იმიტომ მივიდნენ, რომ ეს არის სახელმწიფო რგოლი. ამიტომ ეს დაზარალებულები მოითხოვდნენ იმ ბრძანებულების შეცვლას, რაც გაცემულია მათ მიერ გამოსახლებასთან დაკავშირებით. წინასაარჩევნოდ დაპირება გასცა ხელისუფლებამ, რომ სახელმწიფო იზრუნებდა ამ იპოთეკარებზე, გადაიდგმებოდა კონკრეტული ნაბიჯები, მაგრამ ხალხის გამოსახლება მიდის ნაცვლად მათი პრობლემის მოგვარებისა. მხოლოდ ბანკებს გაუწია ანგარიში სახელმწიფომ და აქეთ გამოუყო კიდევ ფული.

ბანკი და კრედიტორი ყველა ნორმალურ ქვეყანაში არის ერთმანეთის პარტნიორი. ადამიანი მიდის ბანკში, ითხოვს სესხს, იქ არის სპეციალური ჯგუფი, რომელიც განიხილავს ამ ადამიანის საქმიანობას, მის ქონებას, გადამხდელუნარიანობას, შემდეგ ხდება შეთანხმება, აძლევენ ადამიანს სესხს და გზადაგზა რეკომენდაციებს აძლევენ, რომ სესხი ეფექტურად მოიხმაროს. აქ კი ვხედავთ, რომ ბანკი პარტნიორი დაინტერესებული მხარეა, გადართულია იმაზე, რომ ადამიანმა ვალის გასტუმრება ვერ მოახერხოს, რათა მერე მისი ქონება ხელში ჩაიგდოს. ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის ბოლო კაპიკების, ბოლო ქონების წართმევა უნდათ.

**— როგორ წარმოუდგენიათ ამ პრობლემის მოგვარება იპოთეკარებს, რამე გამოსავალს სთავაზობენ ხელისუფლებას?**

– არის გამოსავალი ამ სიტუაციიდან. 2%-ად შოულობენ ბანკები კრედიტებს უცხოეთში, აქ კი საკუთარ მოსახლეობაზე სესხს გასცემენ 14-36%-ად. უნდა შეიქმნას ქონების მართვის სახელმწიფო სააგენტო. ის მოიზიდავს დაბალპროცენტიან სახსრებს, გამოისყიდის ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ჩადებულ პრობლემურ ქონებას, შემდეგ კი მოსახლეობა საკუთარ ბინას იქირავებს სახელმწიფოსგან შეღავათიან ფასად, მანამდე, სანამ დავალიანებას არ დაფარავს და გამოისყიდის საკუთარ ქონებას. აქ არის ერთი პირობაც: სახელმწიფომ ეს სააგენტო უნდა გაათავისუფლოს დღგ-სგან და ეს თანხა უნდა ჩაიდოს ბინის ქირაში. 4%-ად რომ აიღებს სესხს ადამიანი, 1% უნდა დაამატოს და მეტი არა. ამ პროცესს უნდა დააკვირდეს და არეგულირებდეს ეროვნული ბანკი, მას უნდა ჰქონდეს ზედამხედველობის ფუნქცია და იყოს მომრიგებელი.

**— მაშინ იუსტიციის სახლი რა შუაშია, მართლა არ მესმის.**

– მან გამოაქვეყნა სტატისტიკა და ხალხი აღშფოთდა. მე არ ვამართლებ ვინმეს შევარდნას სადმე, მაგრამ ხალხი ამბობს, რომ ამ ვალს გაისტუმრებენ, ოღონდ ნუ დაახრჩობენ. აქ არავინ არ ამბობს იმას, ვალი არ გვაქვს და არ გადავიხდით. თუ დავახრჩობთ ამ ხალხს, უფრო გადაიხდიან? თუ ასეთ სტრესულ სიტუაციაში რომ ჩავაგდებთ, უფრო კარგია? ამით გადაიჭრება პრობლემა? მე არც იმ ადამიანებზე ვსაუბრობ, აზარტული თამაშის გამო რომ დაიდო ვალი, კაზინოში რომ ბინა წააგო, მე ვსაუბრობ მათზე, ვისაც ბიზნესი წაართვეს და დააპატიმრეს. შუაღამისას გლდანის ციხეში დარბოდნენ ნოტარიუსები ქონების გადასაფორმებლად. მე ვამბობ, რომ კომპლექსურად, ინდივიდუალურად უნდა იქნას შესწავლილი ეს საქმეები, საკუთარ ხალხზე უნდა იზრუნოს და დაანახოს ამ ხალხს, რომ მარტო არ არიან, რომ სახელმწიფო გვერდით უდგას. დარწმუნებული ვარ, ეს ხალხი, რომელიც ახლა ქუჩაში დარჩება, არ წაადგება ჩვენი ქვეყნის სტაბილურობას და მერწმუნეთ, სერიოზულად გაიზრდება უკმაყოფილება. ის უკმაყოფილება, რაც ხელისუფლების უნიათობამ გამოიწვია, კიდევ უფრო გაძლიერდება და მომავალ არჩევნებზე ხალხი ძალას აჩვენებს. როცა ოჯახს გისახლებენ, მოხუცებსა და ბავშვებს უსახლკაროდ გიტოვებენ, ალბათ, უნდა მიხვდეს ხელისუფლება, რომ ასეთი ადამიანები ადვილად სამართავები არიან. მათი გაჭირვებით მანიპულირება ყველა ძალას აწყობს, მათ შორის „ნაციონალებსაც" და „ოცნებაშიც" ზოგიერთებს...

**— „ნაციონალები გასაგებია, „ოცნებაში" ვის აწყობს და რატომ?**

– რა გიკვირთ, „ოცნებაში" არიან „რესპუბლიკელები", რომლებიც სულაც არ მოიაზრებიან ღარიბაშვილის გუნდად, ამიტომ მათი მხრიდანაც შესაძლებელია საბოტაჟი. ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებას უნდა ეყოს გონიერება და ნაჯახის პრინციპით თუ იხელმძღვანელებს, ამ ხალხს გამოიყენებს სხვა, მათ შორის ქუჩის პროცესებისთვისაც. რამდენი ადამიანი გეგულებათ, ვინც კარიერა გაიკეთა გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე? ახლა ოჯახებიც კარგად ჰყავთ, პრემიებიც მაღალი აქვთ და ხელს უწყობენ ერის გაღარიბებას. ხელგაწვდილი ერი კი ადვილი სამართავია ყველასთვის. „ნაციონალების" ნარჩენებიც კარგად ისარგებლებენ ამით.

**— ინფორმაცია რომ გავრცელდა იპოთეკარების იუსტიციის სახლში შევარდნის შესახებ, თქვენი კომენტარი ვნახე ერთ-ერთ სააგენტოში, მევახშეებს საქართველოს ხელისუფლებაში მფარველობენო. ვინ იგულისხმეთ?**

– კონკრეტულ სახელებს ახლა ვერ გეტყვით, რადგან ჯერ მტკიცებულებები არ მაქვს სრულად. ერთი რამ არის ფაქტი, რომ ხელისუფლება მოვიდა დაპირებით, გაასამართლებდა რეჟიმს, აღადგენდა სამართლიანობას, დაზარალებულებს დაიცავდა, მაგრამ ყველაფერი დაავიწყდა. ხალხს უნდა ჰქონოდა „უფასო ფული" და გრძელვადიანი კრედიტები, როგორც ივანიშვილი ჰპირდებოდა ამ ხალხს. ახლა კი მივიღეთ ქუჩაში გამოყრილი ხალხი და შედგენილი „შავი სია".

**— რა სიაა ეს?**

– მაგალითად, თუ ქმარი არის „გაშავებული" ბანკში, ცოლს არ აქვს უფლება, კრედიტი გამოიტანოს, არადა, ესეც იყო გზა ვალის გასტუმრების. ახლა კი „შავი სიის" წყალობით ეს შეუძლებელია. ისინი ვერც სამსახურებს იწყებენ იმის გამო, რომ საკრედიტო ისტორია „გაშავებული" აქვთ. ამიტომ, გამოსავალი არის სააგენტოს შექმნაში. ბანკები არ უნდა დაზარალდეს, ამაზე საუბარი ნამდვილად არ არის. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ მან გასცა კრედიტი და მოვალე არ უსტუმრებს, მაგრამ ამის გამო ასი ათასობით ადამიანი უსახლკაროდ არ უნდა დარჩეს. ხელისუფლებამ ისე უნდა იმოქმედოს, რომ არც ბიზნესი დაზარალდეს და არც მოსახლეობა. ეს ყველაფერი შესაძლებელია, მთავარია, პოლიტიკური ნება.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შათირიშვილი ბიძინა ივანიშვილს მიმართავს




მოძრაობა „ახალი რეალობისთვის" თავმჯდომარე, „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დამფუძნებელი მერაბ შათირიშვილი, რომელმაც 23 სექტემბერს, მთავრობის სასახლის წინ, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით აქცია გამართა, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს მიმართავს:

„შეცდომების პერიოდი უნდა დასრულდეს, გამოხატეთ თქვენი აზრი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელმა. გაგვარკვიეთ, თქვენ საზოგადოებრივი სახე ხართ თუ ისევ ფარული, მალული კარდინალი და მმართველი". – განაცხადა შათირიშვილმა. (რეპორტიორი)

## აჭარაში ძლიერ შტორმს ელიან

24 სექტემბრიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ამინდი მკვეთრად გაუარესდება. სინოპტიკოსების ინფორმაციით, მოსალოდნელია ქარი და ძლიერი წვიმა.



გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის თანამშრომელთა განცხადებით, დილიდან გაძლიერდება დასავლეთის ქარი, რომლის სიჩქარე 12-17 მეტრი წამში იქნება, ამას დაერთვის 4 ბალის სიმძლავრის შტორმი. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ფინანსთა მინისტრის მოადგილედ გიორგი კაკაურიძე დაინიშნა



კაკაურიძე მანამდე სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილია. ნოდარ ხადურის მოადგილის პოსტს ასევე დავით ლეჟავა, ლაშა ხუციშვილი და გიორგი ჯავახიშვილი იკავებენ. (ნიუპოსტი)

## კახა კალაძის ცოლისძმა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელად ინიშნება?




თბილისის საკრებულოს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი მუსხელიშვილი ადასტურებს, რომ ვიცე-პრემიერ კახა კალაძის ცოლისძმის გიორგი არეშიძის კანდიდატურა ერთ-ერთი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე განიხილება.

„იცნობს ეს ხალხი, რომ ამბობს, გიორგი არეშიძე ამ თანამდებობის ღირსი არ არის? 2011 წლიდან ის „ქართული ოცნების" ახალგაზრდული მოძრაობის აქტიური წევრი იყო, 2012 წლიდან „ქართული ოცნების" ახალგაზრდულ მოძრაობას ხელმძღვანელობდა", – განაცხადა გიორგი მუსხელიშვილმა. (რეპორტიორი)

# რა საგანგებო თათბირი გაიმართა „ნაცმოძრაობის“ ოფისში?




მიხეილ სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“ საერთაშორისო რეიტინგი საბოლოოდ დაკარგეს და დღეს არც ერთის, აღარც მეორის ხსენება აღარ უნდა იმ ხალხს, ვინც ადრე მათ ლობისტებად ითვლებოდნენ. არადა, ბოლო 2 წელიწადში 3 არჩევნების წაგების, საქართველოს მოსახლეობის მიერ მიშასა და მისი პარტიის საყოველთაო ზიზღის ფონზე, ეს საგარეო მხარდაჭერა იყო „ნაცმოძრაობისთვის“ ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი შანსი. სწორედ უცხოელთა მხარდაჭერით აპირებდნენ, გაემართლებინათ ის დესტრუქციული გეგმები, რომლებიც დაგეგმილი ჰქონდათ, დაწყებული მცირე მასშტაბის არეულობებით, დამთავრებული კიევური „მაიდანის“ თბილისში გადმოტანით. სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, ეს კაციც გაუფასურდა და მისი პარტიაც. „ალიამ“ კულუარულად მოიპოვა ინფორმაციები, რა უბედურება სჭირთ „ნაცებს“ საგარეო ფრონტზე, ასევე, იმ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რაც ამ დღეებში მოხდა ყოფილი მმართველი პარტიის ცენტრალურ ოფისში.

ცნობილია, რომ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკას ამერიკაში, გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩი, თემურ იაკობაშვილი ახორციელებს. ის უშუალოდ გიგა ბოკერიასგან იღებს კონკრეტულ დავალებებს, თუ ვის შეხვდეს და რა საკითხებზე ესაუბროს. ამ ერთ კვირაში, იაკობაშვილმა სერიოზული კრახი განიცადა. მას რამდენიმე დაგეგმილი შეხვედრა გაუუქმეს ამერიკელ კონგრესმენებთან და სენატორებთან. გასაგებია, რომ მას არ შეხვდნენ „დემოკრატი“ კონგრესმენები შონ პატრიკ მალონი და ელიოტ ენგელი, ესენი დიდად არც ადრე გამოირჩეოდნენ „ნაცების“ მხარდაჭერით. საინტერესო ის არის, რომ იაკობაშვილთან შეხვედრაზე უარი განაცხადეს „რესპუბლიკელმა“ სენატორებმა ჯინ შაჰინმა და ბენ კარდინმა. არადა, ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც ჯონ მაკკეინთან ერთად, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა საგანგებო განცხადებით გააპროტესტეს.

„ნაცმოძრაობაში“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციაც გახმაურდა. ამას წინათ, გიგა ბოკერია ამერიკაში ჯონ მაკკეინს რომ შეხვდა, ბოკერიასთვის პირდაპირ განუცხადებია, შენ და შენმა გუნდმა თავს უშველეთ, სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“ აღარაფერი ეშველებათ, ამერიკულმა პოლიტიკურმა ელიტამ ორივე ჩამოწერა და მათ დასახმარებლად თითსაც აღარავინ გაანძრევსო. აღარც თავად არ ვაპირებ სააკაშვილის მხარდაჭერას, მის გამო ამერიკის ხელისუფლების არც ერთ წევრს არ შევაწუხებ, მხოლოდ მის მხარდამჭერ განცხადებებს გავაკეთებ, თუ ეს რამეში წაადგება, მაგრამ სააკაშვილი რომ დაიჭირონ, შესაძლოა, ხმა არც ამოვიღოო. მეტიც, მაკკეინს ბოკერიასთვის უთქვამს, კონგრესში უკვე გამოითქვა აზრი, რომ შეისწავლონ იმ 4.5 მილიარდის საკითხი, რომელიც ამერიკამ 2008 წლის ომის შემდეგ გამოუყო საქართველოს დახმარების სახით, კონგრესმენთა ერთ ჯგუფს საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ ამ ფულის დიდი ნაწილი სააკაშვილისა და მისი ჩინოვნიკების კეთილდღეობას მოხმარდა და ხალხთან მხოლოდ მცირედმა მიაღწია. შესაძლოა, კონგრესში საგამოძიებო ჯგუფიც შეიქმნას, რომელიც ამ 4.5 მილიარდის გახარჯვის საკითხს შეისწავლისო. უკვე ამერიკელებსაც აღარ ეპარებათ ეჭვი, რომ მიშა სააკაშვილი ერთი ვიგინდარა კორუმპირებული პრეზიდენტი იყო, რომელიც, ოღონდ განცხრომაში ეცხოვრა, არც იმ ხალხის „გადაგდებას“ ერიდებოდა, ვინც ხელისუფლებაში მოიყვანა და 9 წელი ამ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ყველაფერი გაუკეთა.

აქვე იმას ვიტყვი, რომ ამ დღეებში „ნაცებმა“ ევროპაშიც ორი სოლიდური მხარდამჭერი დაკარგეს. შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები კარლ ბილდტი და რადისლავ სიკორსკი. ორივე ქვეყანაში მთავრობა შეიცვალა და აღარც ბილდტია თავის პოსტზე და აღარც სიკორსკი. ზოგადად, „ნაცებს“ ევროპაშიც აღარ ჰყავთ მხარდამჭერები. გიორგი კანდელაკმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა, დავით დარჩიაშვილმა და სხვებმა, ევროპელ პოლიტიკოსებთან ჩახუტებულმა „ნაცებმა“, ევროკავშირსა და ევროსაბჭოში კარები აუტალახეს ყოფილ მეგობრებს, მაგრამ ახლოს აღარავინ იკარებს, ყველა თავის იმიჯს უფრთხილდება და პირდაპირ უცხადებენ, რომ მათი დახმარების იმედი არ ჰქონდეთ.

ამ დღეებში „ნაცმოძრაობის“ ოფისში ლიდერების შეკრებს გაიმართა, სადაც ბოკერიას პირდაპირ განუცხადებია, მიშას გადარჩენა შეუძლებელია, ვეღარც პარტიას გადავარჩენთ და ერთადერთი, შესაძლოა, ახალი პარტია შევქმნათ და პოლიტიკოსთა ნაწილი იქ გადავბარგდეთო: ჩვენმა გუნდმა ახალი ლიდერი უნდა აირჩიოს, მიშა უნდა მოვიცილოთ, ყველა ბერკეტი, ყველანაირი გავლენა, რაც დარჩა „ნაცმოძრაობაზე“, უნდა ჩამოვართვათო, – უთქვამს თანაგუნდელთათვის ბოკერიას. სავარაუდოდ, ვიდრე „ნაცმოძრაობა“ დაიშლება და მისი ნარჩენები ახალ პარტიას ჩამოაყალიბებენ, სააკაშვილს მშობლიური „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის პოსტიდან დაუსწრებლად გადააყენებენ. მიშას საქართველოში ერთადერთ პოსტსაცართმევენ.

ამ ყრილობის შემდეგ, „ნაცმოძრაობა“ მცირე ხნით იარსებებს, მისი ლიდერები დააფიქსირებენ, რომ დამნაშავე სააკაშვილს გაემიჯნენ და მერე, ვითომ ეს „სუფთა ლიდერები“ ახალ პარტიას დააარსებენ. ამ ახალი პარტიის თავმჯდომარე შესაძლოა, გიგა ბოკერია გახდეს, შესაძლოა, უცხოეთში მცხოვრები რომელიმე „ნაციონალი“. ამბობენ იმასაც, რომ შეიძლება თავმჯდომარედ „ნაციონალებთან“ დაახლოებული საზოგადოებისთვის პატივსაცემი არაპოლიტიკოსი მოგვევლინოს, ცხადია, სატყუარად, რომ ხალხს თვალი აუხვიონ, ნახეთ, რა სუფთა კაცი გვყავს ლიდერად, ქართულ პოლიტიკაში საერთოდ არ ყოფილაო, პარტიის რეალური მმართველი კი გიგა ბოკერია იქნება. ბოკერიას ეს გადაწყვეტილება თავიდან სააკაშვილის მომხრე რამდენიმე ლიდერს გაუპროტესტებია, მაგრამ მერე ყველა გაჩუმებულა. ყველა ხედავს, მიშა ჩაძირულია და არავის უნდა, მისი ბედი გაიზიაროს. ახლა ყველა გიგა ბოკერიას ეჭიდება, იქნებ ამან გადაგვარჩინოს, კვლავ პოლიტიკაში დავრჩეთ და დაჭერას ამით მაინც გადავრჩეთო, მაგრამ ბოკერიას ჯერ „კასტინგი“ არ გამოუცხადებია მომავალი პარტიის პოლიტსაბჭოს წევრობაზე.

თუ პარტია იშლება, ზურაბ ჯაფარიძე რატომღა აირჩიეს აღმასრულებელ მდივნად და პარტიის რეფორმირებაზე რატომღა ლაპარაკობენ „ნაცებიო?“ – ვინმე აუცილებლად იკითხავს. მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ეს, უბრალოდ, დროის მოგების ტაქტიკაა, საკუთარ მომხრეებს ჯერ არაფერს ეუბნებიან, რადგან დაანონსებული რევოლუციის მცირე იმედი კიდევ შერჩენიათ და არ უნდათ, ხალხში, მომხრეებში ნიჰილიზმი დათესონ, რევოლუციას მომხრეები სჭირდება და ცხადია, არ იტყვიან, ვიშლებითო, რადგან განწირულ პარტიას აღარავინ არ დაუდგება გვერდით. არც იმას ამხელენ „ნაცები“, რომ მიშა სააკაშვილი პარტიის ლიდერობიდან უნდა მოისროლონ, რადგან ამით თავად მიშას ფანებს დაკარგავენ, რომელთათვისაც მიშა, „ნაცმოძრაობის“ გარეშეც სალოცავი ხატია.

მოკლედ, შავ დღეში არიან „ნაციონალები“, პარტია იშლება და სამომავლო გეგმა, რეალურად, არ აქვთ. კი, კულუარული ინფორმაციით, ბოკერია პარტიის შექმნას აპირებს, მაგრამ უეჭველი არც ეს არის. თუ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, უშიშროების საბჭოს მდივნად მუშაობის პერიოდში გაფლანგული მილიონების გამო, აი, მაშინ თავად ბოკერია იქნება გადასარჩენი, ვერც ორთქლმავლის როლს ითამაშებს და ვერც ჩაიბამს ვინმეს. ცხადია, ახალი პარტიაც გვერდზე დარჩება.

შორს აღარ არის ის დრო, რომ ქართველი ხალხი ამ დამნაშავე პარტიისგან დაისვენებს. არც გიგა ბოკერიას ახალი პარტია იქნება თაფლი და შაქარი, თუკი შექმნა, მაგრამ ახლა ის მაინც იცის ხალხმა, რა მავნებელი პოლიტიკოსებით დაკომპლექტდება ახალი პარტია და ძველ შეცდომებს, მათთან დაკავშირებით, აღარ დაუშვებს.

**„ალია“ კომენტარისთვის „ნაცმოძრაობის“ პრესცენტრის უფროსთან, გიორგი პატარაიასთან შეეცადა ამ ინფორმაციების გადამოწმებას, მაგრამ მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა, არც მას შემდეგ, რაც მესიჯით მივწერეთ, რის შესახებ გვსურდა მასთან საუბარი.**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სად იყო „ბლანჟეიანი“ დეზინფორმაციის გამავრცელებელი, როცა ჩემი ძმა „ნაცმოძრაობამ“ კრიმინალად შერაცხა“



რამდენიმე კვირის წინ ვაკეში აბაშიძის ქუჩაზე მოკლული ლაშა მახარაძის მეგობრის, ნარკოტიკებზე დაკავებული თენგო ერისთავის ძმა გიორგი ერისთავი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მიმართავს:

„ჩემი ოჯახი ითხოვს, რომ ეს საკითხი არ უნდა იყოს პოლიტიზებული. მსურს, შევეხმიანო „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს თავიანთი „ბლანჟეიანი“ დეზინფორმაციის გამავრცელებლიანად, ხაჩიძეზე ვსაუბრობ, რომელიც არასწორ გვარებს ასახელებს სამართალდამცავებისა, ჩემი ძმა კრიმინალად სწორედ თქვენმა მთავრობამ შერაცხა, მაშინ სად იყო ხაჩიძე და „ნაციონალური მოძრაობა“?, – განაცხადა გიორგი ერისთავმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსად მაია თაბაგარი დაინიშნა



ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსად მაია თაბაგარი დაინიშნა. აღნიშნული ინფორმაცია საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერმა ჯონი კალანდაძემ დაადასტურა და აღნიშნა, რომ თაბაგარი მუშაობას უკვე შეუდგა.

აღნიშნული თანამდებობის დაკავებამდე მაია თაბაგარი ტელეკომპანია „იმედში“ თეა სიჭინავას გადაცემა „პოლიტიკის დროს“ პროდიუსერად მუშაობდა. „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსის პოსტი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც არხი ნათია აბრამიამ დატოვა. აბრამია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის რეორგანიზაციის პროცესს ივნისიდან ხელმძღვანელობდა. მასთან ერთად არხის ჟურნალისტებისა და პროდიუსერების გადამზადების პროცესში ირაკლი იმნაიშვილიც იყო ჩართული. აბრამია და იმნაიშვილი „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის რეორგანიზაციის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ ლონდონში „ბი-ბი-სი“-ზე დაბრუნდნენ. არსებული ინფორმაციით, ისინი „იმედში“ დაბრუნებასა და რეორგანიზაციის შემდგომი ეტაპების განხორციელებას გეგმავენ. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა მეთოდი არსებობს ოფშორებში გადამალული სააკაშვილის თანხების აღმოსაჩენად?

დავით ნარმანიას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მიხეილ სააკაშვილს დაუდასტურდება, რომ მას მითვისებული აქვს სახელმწიფოს კუთვნილი თანხა, დაყადაღებული ქონება იქნება ერთ-ერთი საშუალება, რომ გაიყიდოს და შემოსული თანხით მის მიერვე ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალი დაიფაროს.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ 19 სექტემბერს სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების კუთვნილი 19 ერთეული უძრავ-მოძრავი ქონება დააყადაღა: მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები, ავტომანქანები და ა.შ.

**რა პროცედურებს ითვალისწინებს კანონი და მოსალოდნელია თუ არა სააკაშვილი და მისი ოჯახის წევრები უძრავ-მოძრავი ქონების გარეშე დარჩნენ?**

**„ალიას“ ადვოკატი მირიან ნიკოლაძე ესაუბრა:**

ასეთი კატეგორიის საქმეების მიმდინარეობა პროცედურულად ასეთია. მიუხედავად იმისა, მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა თუ არა საქართველოში, ძიებას შეუძლია, თავისი ეტაპი წარმატებით დაასრულოს, საქმე გადაიგზავნოს სასამართლოში და განაჩენი დადგეს დაუსწრებლად. განაჩენის დადგენისას სასამართლო იმავდროულად წყვეტს ისეთ საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად, დამატებითი ჯარიმა, არსებობს ასევე პროცედურა უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევის. აქ არის ორი ვარიანტი. ერთი – შეიძლება პირს დაეკისროს ისეთი ოდენობის ჯარიმა, დამატებითი სასჯელის სახით, რომელიც აანაზღაურებს ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალს. ვთქვათ, სააკაშვილს მიუსაჯეს 15 წელი, ასეთ შემთხვევაში შეიძლება დამატებით სასჯელად მას დაეკისროს 10 მილიონი ლარი ჯარიმა. ეს აპრობირებული მეთოდია მთელ მსოფლიოში. სააკაშვილის დროსაც ასე ხდებოდა, მისი ხელწერაა და, ალბათ, ახლა მისავე მეთოდს გამოიყენებენ მის წინააღმდეგ.

**— პროკურატურა სააკაშვილს 8 მილიონის უკანონო გახარჯვას ედავება, თუკი მას დაუსწრებლად გაასამართლებენ, მისი ქონებიდან აღებული თანხით გადაიფარება ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანი და ამავდროულად ცალკე თანხა იქნება ჯარიმა?**

– რა თქმა უნდა, 8 მილიონის ამოღება მოხდება დაყადაღებული ქონების გასხვისებიდან, ბუნებრივია, მაგის გარდა, იქნება ცალკე დამატებითი ჯარიმა. როდესაც განაჩენი კანონიერ ძალაში შევა, მაშინ გადაწყდება, საით მოხდეს ამ ქონების მიქცევა, რომელი ზიანი უნდა ანაზღაურდეს. როგორც წესი, (პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ასე ხდება) ბრალით დადგენილ ზიანს ანაზღაურებენ ხოლმე. ამ შემთხვევაში სააკაშვილის უკანონო ქმედებით რა ზიანიც მიიღო სახელმწიფომ, ამაზე წავა პირველადი თანხის მიქცევა, შემდგომში საჯარიმო სანქცია თუ იყო, ბუნებრივია, ისიც ასანაზღაურებელი იქნება. თუკი სააკაშვილი გამოძიებასთან არ ითანამშრომლებს, ან მას „წითელი ცირკულარით“ ძებნის შედეგად არ დააპატიმრებენ, კანონი სწორედ იმ პროცედურებს ითვალისწინებს, რაზეც ვსაუბრობთ.

**— წლების განმავლობაში იწერებოდა, რომ სააკაშვილი ბიუჯეტის თანხებს პირადი ინტერესებისთვის განკარგავდა, მას და მისი ოჯახის წევრებს ჰქონდათ მსხვილი ბიზნესწილები, ხდებოდა ოფშორებში თანხის გადაქაჩვა. საზოგადოების ნაწილისთვის გამაღიზიანებელია ის ციფრი, რაც პროკურატურამ დაასახელა და ამბობენ, რომ მოპარულ ფულთან შედარებით არაფერია 8 მილიონი. როგორ ფიქრობთ, გამოძიება გავა სააკაშვილის გადამალულ ქონებასა და თანხებზე?**

– ნებისმიერი ეპიზოდი, ეს იქნება მილიონი დოლარი თუ ერთი ლარი, იქნება გამოძიებული. როდესაც საჯარო მოხელე სჩადის დანაშაულებრივ ქმედებას, არის ცალკე ეპიზოდი. სააკაშვილის მიერ უკანონოდ მითვისებული თანხები რომ აღმოჩნდეს კიდევ, თუ ერთ პერიოდში დაემთხვა თანხების მითვისება, შესაძლოა, გაერთიანდეს ერთ ეპიზოდად, ან ცალ-ცალკე და პირი იმდენჯერვე მიეცემა პასუხისგებაში, რამდენჯერაც მსგავსი ფაქტი იქნება აღმოჩენილი. ამ შემთხვევაში პირს კვლავ დაეკისრება სასჯელი და თანხის ანაზღაურება. თუ პირი არ იმყოფება პატიმრობაში, მაშინ ჯარიმა დაეკისრება. ასევე, ყადაღა დაედება აღმოჩენილ ქონებას, თუ დამტკიცდება, რომ მის მიერ უკანონოდ არის მოპოვებული. რაც შეეხება საზოგადოების გულისწყრომას მესმის, რადგან კაცმა, რომელმაც ასეულობით მილიონი გაიტანა ქვეყნიდან, გამოძიება კაპიკებად ედავება და გამაღიზიანებელია. სამწუხაროდ, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ვინაიდან მტკიცებულებების დონეზე, ასეთი მაღალი რანგის მოხელისთვის რაიმეს დადასტურება, იმ პირობებში, როდესაც მისი ხელისუფლების დროს მის ხელში იყო ყველაფერი, საკმაოდ რთულია. ისინი ხომ, ფაქტობრივად, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ კვალი დაეფარათ? სამწუხაროდ, იმ პიროვნებებთან არ მაქვს შეთანხმებული, თორემ გვარებსაც დაგისახელებდით. პირადად ვიცი რამდენიმე ბიზნესმენი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სააკაშვილის ოჯახის წევრებისთვის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა. ეს იყო ათეულობით მილიონი ლარი. ეს ანგარიშები იყო სადღაც ოფშორულ ზონაში და გამოძიებისთვის ძალიან რთულად იქნება დასამტკიცებელი, რომ ეს თანხა სააკაშვილისთვის ირიცხებოდა.

**— რა როლს შეასრულებს სააკაშვილის საქმეში ამ ბიზნესმენების ჩვენებები?**

– კი, ბატონო, იტყვიან მოწმეები, მაგრამ სასამართლოში ძალიან რთულია რამდენიმე ჩვენებით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

**— თუკი მოვლენები ისე განვითარდება, რომ სააკაშვილს ვერ დააპატიმრებენ, ქონების დაყადაღებისა და ჯარიმის დაკისრების შემდგომ რა სამართლებრივი პროცედურები გატარდება?**

– ამის შემდგომ პირი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. ქართული კანონმდებლობით არ შეიძლება ერთი და იგივე დანაშაულის გამო პირი ორჯერ იქნას პასუხისგებაში მიცემული, თორემ თუკი სხვა დანაშაული გახდება ცნობილი და დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, იმდენჯერ მიეცემა პირი პასუხისგებაში, რამდენი კანონდარღვევაც დადასტურდება. თუკი სააკაშვილი გასამართლდება 8 მილიონის გამო, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მას მოპარული არ აქვს 800 მილიონი? ამიტომ განაჩენი, რომელიც ამ ეპიზოდში დადგება, არ გამორიცხავს სხვა ათეულობით და ასეულობით ეპიზოდის გამოვლენას და მასზე სასჯელის დაკისრებას.

**— წეღან მითხარით, ოფშორულ ზონებში გადარიცხული თანხების წარმომავლობის დამტკიცება რთულიაო. ასე უიმედოდაა საქმე? შერჩება, რაც ოფშორებში გადამალა?**

– ძალიან მძიმე ვითარებაა მაგ მხრივ. ოფშორულ ზონებთან წვდომა გამოძიებას არ აქვს, თუმცა არის განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც ხელისუფლებათა შეთანხმების დონეზე ხდება ინფორმაციის გაცვლა. ამ დროს ბანკებიც მიდიან გარკვეულ დათმობებზე და კონფიდენციალურ ანგარიშებსაც ასაჯაროებენ. გააჩნია, როგორი ინტერესი იქნება ამ საკითხისადმი და როგორ მოინდომებს პროკურატურა. შეუძლებელი არაფერია.

P.S. პროკურატურაში არ აკონკრეტებენ მოხდება თუ არა სააკაშვილის დაყადაღებული ქონების გასხვისება, რადგან ჯერ კიდევ გასატარებელია საგამოძიებო პროცედურები, თუმცა ქონების გასხვისება და, ამ მხრივ, პირის მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოსთვის კანონიერი ქმედებაა.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თავისუფალი ზონის“ ოფისთან გამართული აქციაზე 8 პირი დააკავეს




შს სამინისტროს განცხადებით, 4 პირია დაკავებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით (თვითმმართველობის ერთეულის იერსახის დამახინჯება), 1 პირი – 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა), 2 პირი – 173-ე მუხლით (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 1 პირი 166-ე და 173-ე მუხლებით.

„თავისუფალი ზონის“ ოფისთან აქცია „თავისუფალმა თაობამ“ გამართა. აქციის მონაწილეები მას შემდეგ დააკავეს, რაც მათ „თავისუფალი ზონის“ ოფისის ფანჯრებზე გაკრული ნიკა მელიას ბანერის წითლად შეღებვა სცადეს და ოფისს კვერცხები დაუშინეს.

როგორც „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, „თავისუფალ ზონას“ 10-დღიან თვითლიკვიდაციის ვადას აძლევენ და უნდა გაუქმდეს, რადგან ეს მოძრაობა არის მიხეილ სააკაშვილის, გიგი უგულავას, გიგა ბოკერიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ იდეების გამტარებელი და ისინი ყოველთვის მზად არიან, ქვეყანაში გადატრიალება მოახდინონ.

აქციაზე დაწვეს სათამაშო კურდღელი, რომლის თავზეც მიხეილ სააკაშვილის ფოტო იყო გამოსახული, ყელზე კი ჰალსტუხი ეკიდა. როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს მიხეილ სააკაშვილი იყო კურდღელი და „თავისუფალი ზონის“ წევრებიც კურდღლები და მშიშრები არიან.

აქციაზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ათეული თანამშრომელი. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...



## რას მოუწოდებს ნინო ბურჯანაძე დიპლომატებს?

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს წერილით მიმართა და მოუწოდა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პროცესში აქტიურად ჩაერთონ.

„ქვეყანაში სახეზეა კლასიკური სახის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ნებისმიერ ნორმალურ და დემოკრატიულ სახელმწიფოში გამოიწვევდა ვადამდელი არჩევნების დანიშვნას. ქვეყანაში მოვიდა ხელისუფლება, რომლის მთავარი საფიქრალი არის არა ქვეყნის განვითარება და რეფორმების განხორციელება, არამედ ნებისმიერ ფასად ხელისუფლების დიდი ხნით შენარჩუნება. ამ საქმეში „ქართულმა ოცნებამ“ თავის პარტნიორად აირჩია „ნაციონალური მოძრაობა“ და კვლავ აპირებს, მორიგი არჩევნები ჩაატაროს იმ საკანონმდებლო ბაზით, რომელიც თავის დროზე „ნაციონალებმა“ დააკანონეს და რომლის შეცვლასაც მმართველ გუნდში მყოფი პარტიები ხელისუფლებაში მოსვლამდე კატეგორიულად ითხოვდნენ...

საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ის ფარსი, რასაც ჰქვია საარჩევნო სიები, სადაც დაფიქსირებულია 3 მილიონ 200 000 ამომრჩეველი, მაშინ როდესაც ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ საქართველოში დღეს ფაქტობრივი მოსახლეობა, სამწუხაროდ, 3 მილიონზე ნაკლებია“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისის მეტროში ინციდენტი მოხდა

თბილისის მეტროპოლიტენში მომხდარ ცემის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 125-ე მუხლით მიმდინარეობს.

ინციდენტი 22 სექტემბერს „სადგურის მოედანზე“ მოხდა. თვითმხილველების განცხადებით, ჩხუბი ვაგონში დაიწყო. უცნობი ბიჭები უნებართვოდ ფოტოებს უღებდნენ გოგონას, რომელსაც ასევე უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი გამოესარჩლა. (ფრონტნიუსი)



# უგულავა, მერაბიშვილი და ახალაია ციხეებში მასობრივ არეულობებს გეგმავენ?

**რა იგეგმება ციხეებში? ვის აძლევს ხელს პატიმრების მასობრივი თვითდაზიანებები? ვისი ხელით მოხდება არეულობის დაწყება? ეს ის საკითხებია, რაზეც „უფლებადამცველთა გაერთიანება“ 24 სექტემბერს პრესკონფერენციის ჩატარებას გეგმავს.**

**„ალიას“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა:**

– ეტყობა, ძალიან უჭირთ საპატიმროში გამომწყვდეულ ნაციონალ „ლომებს“: ბაჩანა ახალაიას, გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილს და გადაწყვიტეს, ციხე შიგნიდან გატყდეს და ისევ ციხიდან დაიწყოს პროცესები, რომელიც მათთვის შესაძლოა, მომავალში სასიკეთოდ დასრულდეს. ანუ მათ დიდ სურვილი აქვთ ციხის თემით დაიწყოს წინასარევოლუციო ფონის შექმნა. კარგად მოგეხსენებათ, რომ გიგი უგულავამ საპატიმროდან გამოგზავნილ წერილში, რომლის ავთენტურობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, დააფიქსირა პოზიცია, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ, რაც შეიძლება მეტი არეულობა წამოვიდეს საზოგადოების სხვადასხვა ფენებიდან. გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილმა პრეზიდენტობიდან წასვლისას განაცხადა კიდეც, რომ სწორედ ციხით დაასრულებს ეს ხელისუფლებაც თავის მოღვაწეობას, რადგანაც მას ვერ მოუნელებია ის ფაქტი, რომ თავად ციხით დაასრულა პრეზიდენტობა და, რომ არა ის ცნობილი კადრები, დღეს სხვა რეალობაში ვიცხოვრებდით. ამიტომ, იგეგმება საკმაო მასშტაბის არეულობა და ამის ფონის შექმნა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ ბოლოდროინდელი განცხადებებითაც დაადასტურა, რასაც ზურგს უმაგრებს გარკვეული მედიასაშუალებები, თუნდაც გავიხსენოთ კვესიტაძის ბოლო გადაცემა... მაქვს ინფორმაცია, რის გამოც 24 სექტემბერს ვაპირებ პრესკონფერენციის მოწვევას, რომ რუსთავის მე-17 დაწესებულებაში იწყება შიმშილობა და ამ სიტუაციას სათავისოდ გამოიყენებენ გარკვეული ჯგუფები, იგივე ადვოკატები, რომლებიც გარკვეულწილად დაკავშირებულები არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ, რომ ისევ პატიმრების ხელითა და საშუალებით მოხდეს მძიმე ფონის შექმნა.

**— რომელ ადვოკატებს გულისხმობთ კონკრეტულად?**

– იმ პროკურორებსა და „ზონდერებს“, ვინც სააკაშვილის მმართველობის დროს იყვნენ და, ვინც შემდეგ შეაღწიეს ადვოკატთა ასოციაციაში და უფლება მოიპოვეს, საადვოკატო სამსახურში ჩამდგარიყვნენ, ვისაც თავის დროზე პასუხი არ მოეთხოვათ და დღეს უკვე უფლებადამცველებად გვევლინებიან. აი, ამ ხალხს აქვს დღეს წვდომა პატიმრებთან და სწორედ მათი ძალისხმევით ხდება, რომ ციხეებში ასეთი პროცესები იწყება. ჩემი ინფორმაციით, ისინი არწმუნებენ ციხეში მყოფებს, რომ დაიწყონ შიმშილობა, ასევე, როგორც გამომცეს, მოსალოდნელი იქნება მასიური თვითდაზიანებები, რაც შემდგომში დაბრალდებათ ციხის თანამშრომლებს და ეს აუცილებლად შექმნის პრობლემებს.

**— რატომ გამორიცხავთ, რომ ციხის თანამშრომლებიდან, შესაძლოა, ნამდვილად ჰქონდეს ადგილი გადაცდომას, რადგანაც იქაურობა ძველი კადრებიდან არავის გაუწმენდია.**

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ, მოდით, ვთქვათ, რომ ასეთი გადაცდომა მასშტაბურად არ ხდება და დღეს ვერავინ იტყვის, რომ იქ პატიმრებს აწამებენ და კლავენ, ცოცხებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ სწორედ ასეთი ფონის შექმნა სურთ ამ ჯგუფებს და ესენი მარტო „ნაციონალები“ არ არიან, არის სხვა ჯგუფები, რომლებიც ზოგი ფინანსურადაა დაინტერესებული, ზოგი – პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლით და ეს ყველაფერი მოწმობს იმას, ამ ადამიანებს, ვისაც წვდომა აქვს პენიტენციარულ სისტემასთან, დიდი სურვილი აქვთ, ხელისუფლება შეიცვალოს ციხიდან დაწყებული არეულობით. ეს ძალიან სათუთი და მგრძნობიარე თემაა და ამას აუცილებლად მოჰყვება გარეთ პატიმრების მშობლების გამოსვლები, მათ ასევე სხვა სოციალური ჯგუფები შეუერთდებიან, თითო პატიმარს გარეთ ოჯახის 4-5 წევრი ჰყავს და ეს აქცია უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს, ეს ორივე მხარე ერთმანეთს შეუერთდება... თან იმის იმედი აქვთ, რომ ამ თემით „ნაციონალების“ რეაბილიტაცია მოხდება, ანუ, საშუალება მიეცემათ, თავი გაიმართლონ: აი, რატომ ვიყავით მკაცრები ციხეში, აი, რატომ ვიყავით ულმობლები და დაუნდობლები, ხომ ხედავთ, რა ხდება ახლა? ამით თან ცოცხების პოლიტიკას გაამართლებენ და თან ციხის თემით მოახდენენ საკუთარი პოზიციის გამტკიცებას.

**— ანუ გამოდის, „ნაციონალებს“ სურთ, ბუმერანგივით დაუბრუნონ „ქართულ ოცნებას“ ის, რის გამოც თავად დაატოვებინეს ხელისუფლება?**

– ეგაა ძირითადი მოტივი და, ჩემი აზრით, ქართველი საზოგადოება და უფლებადამცველები უნდა იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნეები, რადგანაც დღეს ციხის ადმინისტრაციასთან კონტაქტით ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება.

**— არასამთავრობო ორგანიზაციები ახსენეთ და რა პოზიცია აქვთ მათ ამ თემასთან დაკავშირებით?**

– ის ორგანიზაციები, აქამდე რომ ჩუმად იყვნენ და ხმას არ იღებდნენ იმაზე, რა უბედურებაც ხდებოდა წინა ხელისუფლების პერიოდში, ახლა ალაპარაკდნენ. ცოტა არ იყოს გამაკვირვა ნაზი ჯანეზაშვილის განცხადებამ და ეს ის ჯანეზაშვილია, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც ახლა ამ თემით დაინტერესდა, თუმცა არ მახსოვს, მისი ინტერესი, როცა ციხეში გაუპატიურებები ხდებოდა და ახლა ეს ადამიანი გამოდის და ამბობს, დღევანდელ ციხეში საშინელებები ხდებაო.

**— რა მაგის პასუხია და, ნაზი ჯანეზაშვილი „ალიას“ საქმეშიც უცნაურად ჩაერთო, როცა განცხადება გაავრცელა, მოსამართლეებს რას ერჩითო. ამ დროს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა პრეტენზია ჰქონდა „ალიას“ კონკრეტულ მოსამართლეებთან.**

– გაზეთი ახსენეთ და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ხელისუფლებას, ყურად იღოს ჩემი ინფორმაცია, რადგანაც კონკრეტული მესიჯები მომდის თავისი ფაქტებით, რომ ესენი ხელისუფლების შესაცვლელად ემზადებიან და ემზადებიან სწორედ ციხის თემით. ვიმეორებ, ამ ჯგუფებს მხარს დაუჭერს კონტროლირებადი მედია, კონტროლირებადი არასამთავრობოები და ასევე არანაკლებ როლის ითამაშებს დასავლეთის მხარდაჭერა. რაც შეეხება იმათ, ვისი სახელებიც სულ დასაწყისში ვახსენეთ, იგივე უგულავასა და დანარჩენებს, ახლა ციხის სიტუაციის არევაზე ფიქრობენ. ისინი ყველაფერზე არიან წამსვლელები. უწყებაში ამაზე მუშაობა მიდის, ცხადია, და ამისთვის ტარდება ღონისძიება, მაგრამ ვილაცები არწმუნებენ პატიმრებს, რომ მასობრივი შიმშილობის დაწყებით მათი პირობები გაუმჯობესდება. ამ პატიმრებიდან ზოგი თავისი საქმის გადახედვას ითხოვს, ზოგი შეწყალებას და ვიტყვი, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში დაწყებულია რეფორმები და გარედან კიჟინი, რომ აი, ყველაფერი ცუდადააო, პრობლემებს კი არ გადაჭრის, პირიქით, გააღრმავებს. ეს საკმაოდ რთული სტრუქტურაა, გავითვალისწინოთ, რომ შეუძლებელი იყო სააკაშვილის მიერ ჩამოყალიბებული უმძიმესი სისტემის ორ წელიწადში გარდაქმნა, თუმცაღა ის, რაც დღეს გვაქვს, ძველთან რა შედარებაა და სიტუაცია კიდევ უფრო მოგვარდება, მთავარია, ამდაგვარ სიტუაციებს მომზადებული შევხვდეთ.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს თაია მახარაშვილს:**

**— გაქვთ ინფორმაცია, რომ ციხეებში მასობრივი პროტესტი იწყება და ამაში „ნაციონალებთან“ დაახლოებული ადვოკატები ყოფილან ჩართული?**

– როგორც ბატონი ნიკოლოზ მჟავანაძე ამბობს და, თუ საუბარია მართულ ადვოკატებზე, ცხადია, მართული ადვოკატებისგან გამორიცხული არაფერია, თუმცა დღესდღეობით ვითარება ამისი თქმის საშუალებას არ გვაძლევს, ჩვენი უწყება მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას.

თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ჯანყარაშვილი „თამაზაშვილების კლანის“ ოდიოზური წევრია“



საპარლამენტო უმცირესობის წევრის ირმა ნადირაშვილის თქმით, ზვიად ჯანყარაშვილი „თამაზაშვილების კლანის“ გამორჩეული და ოდიოზური წევრია. მისივე თქმით, საზოგადოებას ახსოვს, როგორ შეიქრა ის საავადმყოფოში და ემუქრებოდა მათ ფიზიკური ლიკვიდაციით. „ჩვენ ვიცით მის წინააღმდეგ სერიოზული ბრალდებები, რომ მონაწილეობდა ბიზნესის გადანაწილებაში, ბიზნესის ტერორში, ახლა მას, ალბათ, ახალი მისია აქვს, რომ პარტიის სახელით დაატეროროს ბიზნესმენები და ფული ამ გზით მოიძიოს. მე მივმართავ ჩემს კოლეგა პოლიტიკოსებს, თუ მათ მოსწონთ, რომ მაკონტროლებლად მათ ღარიბაშვილმა დაუნიშნა ნუნუკას მამიდაშვილი, ეს მათი საქმეა, თუმცა, ცხადია, ქვეყანა ასე არ უნდა იმართებოდეს“, – აცხადებს ნადირაშვილი.

შეგახსენებთ, რომ „ქართული ოცნება“ პარტიაში ახალი, აღმასრულებელი მდივნის თანამდებობის შემოღებას აპირებს და ამ პოსტზე სწორედ ჯანყარაშვილი მოიაზრება. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კანონდამრღვევი დირექტორები 3 წლის განმავლობაში სკოლებში თანამდებობას ვერ დაიკავებენ

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, სკოლის სამეურვეო საბჭოს, ასევე სამინისტროს მიერ დირექტორისთვის ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, პირს არა აქვს უფლება, სამი წლის განმავლობაში დაიკავოს საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის ან ნებისმიერი სხვა თანამდებობა სკოლის დირექციაში.

განათლების სამინისტროს განმარტებით, მათი ეს ინიციატივა დირექტორების მიერ კანონმდებლობის დარღვევის პრევენციას ისახავს მიზნად. (რეპორტიორი)

### განმარტება

16 აგვისტოს „ალიაში“ გამოქვეყნდა „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის“ დავით ფერაძის ინტერვიუ, სადაც ის განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის დიქტატზე საუბრობდა. ინტერვიუში ფერაძე აცხადებს, „ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია 39-ე სკოლიდან, რომ სამინისტროს მაღალჩინოსნები ახორციელებენ ზარებს ამ სკოლის დირექციაში, რომ არ შეუშალოთ ხელი დირექტორად ლილია გეონჯიანის არჩევას, ყველა ღონე იხმარეთ, რომ ეს ადამიანი აირჩიოს სამეურვეო საბჭომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამინისტრო ისე, როგორც სხვა სკოლებშიც, აქაც გამოიყენებს თავის დისკრეციულ უფლებას და მაინც გეონჯიანს დანიშნავს დირექტორად, მერე უკვე თქვენზე გადატყდება ჯოხიო. ფერაძის ამ განცხადებას უპასუხა განათლების სამინისტრომ, მაგრამ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება გვთხოვა ასევე 39-ე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელმა, ლალი ნასყიდაშვილმა:

„თორმეტი ადამიანი ვართ სამეურვეო საბჭოში, ვინც დირექტორის არჩევნებში ვმონაწილეობდით და არც ერთი არ ვეთანხმებით დავით ფერაძის ინტერვიუში იმ სიტყვებს, რასაც ჩვენი მისამართით ამბობს, რომ ვითომ ჩვენ ვილაცის ზეწოლის გამო ავირჩიეთ ახალი დირექტორი. სინამდვილეში არჩევნების დროს ყველამ მიიღო გადაწყვეტილება თავისი პირადი მოსაზრების მიხედვით, ახალ დირექტორს ხმა მივეცით 11 ადამიანმა ერთის წინააღმდეგ და გადავწყვიტეთ ლილია გეონჯიანის არჩევა იმ მიზეზის გამო, რომ ჩვენ გვჭირდება მენეჯერი დირექტორი, რომელიც ჩვენს ბიუჯეტს, ჩვენს მომავალ გეგმებს ისე მოაწესრიგებს, როგორც ეს სკოლას სჭირდება. სკოლა ნახევრად დანგრეულია, კლასებში ვერ ვეტევით, სკოლა ორი ცვლით მუშაობს და დიდი სურვილი გვაქვს, ერთი ცვლა გვქონდეს, ამას კი სჭირდება ბიუჯეტში თანხების მოზიდვა. გეონჯიანმა პირდაპირ გვითხრა, ამას მოვაგვარებო და დარწმუნებული ვართ და სკოლას კარგად გაუძღვება. აქვე დავამატებთ, თუ არ ივარგებს ეს ადამიანი დირექტორად, გადავირჩევთ და ამასაც არავის კარნახით არ გავაკეთებთ“.

*თამარ ოქრუაშვილი*

## შორენა ბეგაშვილმა ნაჩუქარი მანქანის ფერი დაიწუნა



– მადლობა მანქანისთვის, მაგრამ სხვა ფერი მერჩია, – დაწერა ტელეწამყვანმა შორენა ბეგაშვილმა რამდენიმე დღის წინ და ნაჩუქარი მანქანის ფოტოც გამოაქვეყნა.

სათამაშო მანქანა, რომელსაც ყვითელი ფერი აქვს, შორენას საცხოვრებელი ბინის კართან დაუტოვეს.

– ეს ვის სჭირდება, ნამდვილი სადაა, – წერდა მომღერალი ნინა წკრიალაშვილი. შორენას მეორე მეგობარი აწყნარებდა, რომ ნამდვილსაც მალე მიიღებდა.

შორენას მეგობრებს შორის იყვნენ ისეთები, რომლებსაც სათამაშო მანქანაც ძალიან მოეწონათ.




– მაინც საყვარელია. იქნებ, პატარა ბავშვმა დაუტოვა? – წერდა ერთ-ერთი მათგანი.

**reitingi.ge**

## ავთანდილ ცქვიტინიძე: „სიკვდილის მეშინია, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ, თორემ შეიძლება გავაფრინო“




დიზაინერ ავთო ცქვიტინიძეს ავტომობილის სისწრაფის ეშინია.

– რალიში ვერასდროს მივიღებ მონაწილეობას. ეტყობა, სხვებიც მიფრთხილდებიან და როცა მანქანაში ვზივარ, სწრაფად არ ატარებენ. სიკვდილის მეშინია, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ, თორემ შეიძლება გავაფრინო, – ამბობს ცქვიტინიძე.

**primetimenews.ge**

## „ივანიშვილი იქნება სათავეში თუ იესო ქრისტე 12 მოციქულით, შენი ადგილი აფრიკის ერთა ლიგაშია“



იუმორისტი დათო გოგიშვილი „ევროასოცირებულ გრუზინებს“ სოციალურ ქსელში საგანგებო მიმართვას უძღვნის.

– საგანგებო მიმართვა ზოგიერთ ევროასოცირებულ გრუზინს! თანამემამულენო! შეგახსენებთ, რომ სამშობლოს ღალატი არის კონკრეტული უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაული და გააჩნია თავის კონკრეტული ახსნა-განმარტება იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ ტერმინის შოუდ ქცევა, ოფიციოზის მიერ კონკრეტულ პიროვნებასთან და პიროვნებებთან მიმართებაში გამოყენება და მოხსენიება ამ ეპითეტით კატეგორიულად დაუშვებელია, თუ ამ კონკრეტულ უმძიმეს დანაშაულში არ არის მხილებული სასამართლოს მიერ. სამშობლოს ღალატი არ არის პოეზიისა და ლირიკის ნაწილი. ზვიად გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილის კისერზეა ეს უმძიმესი ცოდვა, რომ ერს მიაჩვია ამ ბრალდების უცერემონიოდ გამოყენება. სატელევიზიო სახეები, პოლიტიკანები, გადაცემის წამყვანები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უწოდებდნენ და უწოდებენ ადამიანებს სამშობლოს მოღალატეს და ამ ადამიანების შვილები ეზრდებათ და ოჯახები ჰყავთ! ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ან მით უმეტეს ამ გაერთიანების სრულფასოვანი წევრობა მარტო დეკლარირება და სამართლებრივი გაფორმება როდია? ევროკავშირი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ფასეულობათა ერთობლიობას და ამ ფასეულობათა გარშემო შეკრებილ სახელმწიფოთა და ერთა ერთობლიობას. პოლიტიკური პლურალიზმი, განსხვავებული აზრის პატივისცემა. მიუღებელი, განსხვავებული პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა ალტერნატიული მსოფლმხედველობისადმი შემწყნარებლობა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. აი, ეს არის იმ ფასეულობათა დაუსრულებელი ნუსხა, რის გარშემოც არიან დარაზმული ამ გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოები და ერები. შუშანიკის დამწერო ერო! სანამ არ გაითავისებ აი, ამ ჩამოთვლილ ფასეულობათა ერთობლიობას და ყოველდღიურ ცხოვრებაში არ გაატარებ, ივანიშვილი იქნება საქართველოს სათავეში თუ იესო ქრისტე თავის 12 მოციქულით, შენი ადგილი არის აფრიკის ერთა ლიგაში! – წერს გოგიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

**pia.ge**

## ვინ რამდენს სვამს ქართველი ქალბატონებიდან?



გამოკითხულთა ცნობილი ქალების უმრავლესობიდან თითქმის ყველა კონიაკის მოყვარული აღმოჩნდა.

ეკა ხოფერია: მაგარი სასმელები მიყვარს, ისეთი, როგორიც კონიაკია, თუმცა კონიაკის მოყვარული ჩემზე მეტად ჩემი მეუღლეა. კონიაკის დალევას ცოდნა და სპეციალური ჭიქა უნდა. თბილი სახით უნდა დალიო. თეონა თავართქილაძესთან ვიყავი და ის მასწავლიდა. კონიაკი ჩემთვის ძველ საუკუნეებთან, სიძველესთან, ლამაზ ავეჯთან და გემოვნებიან ხალხთან ასოცირდება. ათი წლის წინათ, ჩემს დაბადების დღეს, კონიაკით დავთვერი.

თაკო ჩხეიძე: ძალიან მიყვარს კონიაკი. სტრესულ პერიოდში რომ ხარ, ან ემოციურად გადაღლილი რელაქსისთვის ძალიან კარგია 100 გრამი კონიაკი ლიმონით. ლიმონი უხდება. თან თუ ცივა, კონიაკი მართლა კარგია. საღამოს მეუღლესთან ერთად მინდება დავლიო. მაგრამ ამან სისტემატური ხასიათი არ უნდა მიიღოს, თორემ უკვე რელაქსი კი არა, სხვა რამეა.

ლიზა ბაგრატიონი: ალკოჰოლური სასმელი, რომელიც პირველად 16 წლის ასაკში სანკტ-პეტერბურგში დავლიე, კონიაკი იყო. საშინლად დავთვერი. ალბათ, წარმოგიდგენიათ, როდესაც ადამიანი პირველად თვრება, რა მოსდის. მეორე დღის პერიპეტიებს აღარ მოვყვები. მას შემდეგ კონიაკს აღარ გავკარებივარ. მე ღვინოს დიდი მოტრფიალე ვარ. მშრალი თეთრი ღვინო მიყვარს. ღვინო იმის საშუალებას გაძლევს, რომ თავი გააკონტროლო. კონიაკი თავში უცებ ჩაგცხებს ხოლმე და დოზის გაკონტროლება ძნელია. ერთ ბოთლ ღვინოს ამაყად ვსვამ და სახლში ამაყად ვბრუნდები.



თეონა თავართქილაძე: კონიაკის ჭიქები მაჩუქეს. ფეხი არ აქვს და თუ დოზა იცი, რამდენი დაასხა, ჭიქა თავისით იწყებს გორაობას. ანუ რაც შენ უნდა აკეთო, ხელით მოატარო სასმელი ჭიქის კედლებს, ჭიქა თავისით აკეთებს. სახლში თუ მოხვალთ ჩემთან, ამ ჭიქით დაგალევინებთ კონიაკს. საერთოდ ალკოჰოლურ სასმელთან კარგი ურთიერთობა არ მაქვს. იშვიათად ვსვამ ხოლმე. სასმელი კარგი დასალევი უნდა იყოს, რომ დავლიო.

ია ფარულავა: ყველაზე მეტად სასმელებიდან კონიაკი მიყვარს. ცოტაც საკმარისია, რომ შეთვრე. 50 გრამს ბოლომდე ვერ ვსვამ, მაგრამ ბახუსში კარგად მაგდებს. ამ დროს ძალიან კარგ ხასიათზე ვარ. მახსოვს, სკოლის ასაკში დავთვერი კონიაკით. სასმელების არევა არ მიყვარს. ლიკა ევგენიძის ქორწილში ერთმანეთში ავურიე ექვსი სახეობის სასმელი და ძალიან ცუდად გავხდი. იმდენად არ ვარ პროფესიონალი მსმელი, რომ არ ვიცოდი, სასმელები ერთმანეთში რომ არ უნდა ამერია.

**primetimenews.ge**

## „ქლაბ შოუს“ ბიჭებს ცოტა კაცობა რომ მისცა, მშვენიერი ბიჭები იქნებოდნენ“




კრიტიკოსმა გია ჭუმბურიძემ, რომელსაც „მექანიკური ფორთოხლის“ ქართული თარგმანი ეკუთვნის, წიგნის მთავარი პერსონაჟი, მელომანი სადისტი ალექსი, „კომედი შოუს“ იუმორისტებს შეადარა.

წიგნის მთავარი პერსონაჟის, ალექსის დახასიათებისას გია ჭუმბურიძე ამბობს, რომ მისი სადისტური ქმედებები არანაკლებ დასაძრახია, ვიდრე „კომედი შოუს“ ბიჭების საქციელი, როდესაც ისინი სხვადასხვა კომედიურ სკეჩებში ქალბატონებს დასცინიან.

– „ქლაბ შოუს“ ბიჭებს რომ ცოტა კაცობა მისცა, მშვენიერი ბიჭები იქნებოდნენ... დაუსწრებლად ვიღაც ქალის დაცინვა ამაზრზენი საქციელია. ამასთან შედარებით ალექსის საქციელი დიდი არაფერი არ არის, – ამბობს ლიტერატორი.

**pia.ge**

## რობერტ სტურუა: „ქართველებო — ჯალათებო და გახრწნილებო, მკვლელებო, საკუთარი დედის მტყლებო“



რეჟისორი სოციალური ქსელის მეშვეობით იმ ადამიანებს მიმართავს, ვინც ქონების დაყადაღების შემდეგ, სანდრა რულოვსის დახმარების სურვილი გამოთქვა.

– ქართველებო – ჯალათებო და გახრწნილებო (ისეც და ასეც), მკვლელებო, საკუთარი დედის მტყ**ლებო, ბოზებო და მექრთამეებო, მოღალატენო და შანელის კაბებში გამოწყობილნო, წესიერებო სტუმრებთან და საკუთარ ოჯახში ზნედაცემულნო, უცხოელებთან დემოკრატებო და ქრისტიანულ ქვეყანაში შეიხებო, ვითომ ქალწულნო და უბიწოებო, სინამდვილეში კი ურწმუნოთა ბრბო, სულით გლეხებო და გლეხთა მჩაგვრელნო, ტრაკის იქეთ აქეთ მოქანავენო, შეუგროვეთ, შეუგროვეთ სანდრას – იმ KGB და CIS-ის აგენტს – ვინც საქართველოს ვერ იტანს დღემდე! დროზე შეუგროვეთ ფული, ო, დროზე, სანამ შიმშილით არ გასძვრა სული იმ ლამაზ მატა ხარის, კეზერას ფული ოფშორიდან დროზე გამოიტანეთ და იმ ევროპელ პედოფილების ქვეყნის ქალწულს ხელში ჩააკუჭეთ! ო, უტვინო (და როცა საკუთარ ჯიბეს ეხება აფერისტო) ჩემო ერო! როგორ იტან, რომ შვილები აწამა ორმა გადამთიელმა (ნუთუ შიშმა მოკლე ტვინი სულ დაგიკორტნა), დაგავიწყდა, შენი ვაჟკაცნი ტრაკიდან რომ მოტ...ნეს?! ამ ფაშისტებს უგროვებ ოქრო და ვერცხლს, სააკას ჩათლახმა მოდგმამ რომ იხაროს?! ო, საქართველო! – წერს სტურუა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

**pia.ge**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– დედიკო, დედიკო, სკოლაში ყველა დამცინის და მაფიოზს მეძახის!

– რა სისულელეა?! ხვალვე მივალ სკოლის დირექტორთან და დაველაპარაკები!

– კარგი, ოღონდ ყველაფერი ისე მოაწყვე, რომ უბედურ შემთხვევას ჰგავდეს!..

*****

– საერთოდ, ადამიანს ახასიათებს შეცდომების დაშვება, – შორიდან დაიწყო საუბარი მეთაურმა გამნალმველის ცოლთან...

*****

პარლამენტის წევრებმა სახელმწიფო საიდუმლოს გამხელის შესახებ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად გააფართოვეს.

ამიერიდან განცხადებები, რომ ჩვენს ქვეყანას იდიოტები და უმაქნისები მართავენ, განხილული იქნება როგორც ჯაშუშობა და სახელმწიფოს ღალატი.

*****



კოტე თავის ზედმეტად თმიან შვილს უყურებს, უყურებს, უყურებს და მერე ცოლს გაკვირვებული ეკითხება:

– შე ჩემა, გააჩინე ეს ბავშვი თუ მოქსოვე, ჰა?!

*****

უზარმაზარი ფირმის შეფმა რიგრიგობით ყველა განყოფილების ხელმძღვანელი დაიბარა, შემდეგ ყველა თანამშრომელი, ბოლოს კი სტაჟიორი კოტე.

– ჩვენ შორის დარჩეს, კოტე და ერთი რაღაც მინდა გკითხო – ჩვენს მდივანთან სექსი უკვე გქონდა?

– არა, შეფ!

– ძალიან კარგი! – შვებით ამოისუნთქა შეფმა, – მაშინ შენ მოგიწევს გააგებინო, რომ სამსახურიდან დათხოვილია!..

*****

– სულაც არ ვარ რასისტი! საერთოდ არ მაღელვებს, რა ფერის კანი ექნება ჩემს მონას!

*****

– დაივიწყე ყველაფერი, რაც უნივერსიტეტში გასწავლეს, არაფერში გამოგადგება!

– უნივერსიტეტში არც მისწავლია...

– მაშინ არ გამოგვადგებით – უმაღლესი განათლების გარეშე ჩვენთან თანამშრომლებს არ იღებენ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# ყველაზე საინტერესო ფაქტები



– ბევრი სუპერმარკეტი საკუთარ საცხობ დანადგარებს შესასვლელ კართან ახლოს დგამენ, რათა პოტენციურმა კლიენტმა ახლად გამომცხვარი ნაწარმის სუნი უკეთ შეიგრძნოს. სტატისტიკის მიხედვით, პურ-პროდუქტების გაყიდვის მაჩვენებლებით სწორედ ასეთი ხრიკის მომგონი სუპერმარკეტები გამოირჩევა.

– მოგეხსენებათ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძილში ლაპარაკობენ, მაგრამ, ალბათ, არ გეცოდინებათ, რომ ეს მოვლენა, ანუ ძილში ლაპარაკი უცხო არც ყრუ-მუნჯებისთვისაა. სპეციალისტების თქმით, ძალიან ბევრი ყრუ-მუნჯი ადამიანი ძილში ჟესტების ენაზე ლაპარაკობს.

– თუკი სამოგზაუროდ ეკვატორის რომელიმე სახელმწიფოს ეწვევით, თქვენი წონა დაახლოებით 150-200 გრამით აუცილებლად დაიკლებს. ამ უცნაური მოვლენის მიზეზი დედამიწის ბრუნვის ცენტრიდანული ძალაა.

– სამედიცინო სტატისტიკის თანახმად, ყველაზე ხშირად ადამიანს ლავიწის ძვალი უზიანდება. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მოტეხილობების მიხედვით, ხელფეხს სწორედ ლავიწი ჯაბნის.

– ფილიპინებზე კანონის ძალით აკრძალულია... განქორწინება.



– ცრემლები და ნერწყვის შემადგენლობაში ლიზოციმი, ანტიბაქტერიული ფერმენტი შედის, რომლის დანიშნულებაც სხეულში მოხვედრილი ბაქტერიების უჯრედების განადგურებაა.

– ნახევარი საათის მანძილზე ადამიანის სხეული იმდენ სითბოს გამოყოფს, რომ შესაძლებელი იქნებოდა ორი ლიტრი წყლის ადუღება.

– სტრესის ან შეშინების დროს ადამიანის ყურებში 10-ჯერ და მეტჯერ მეტი რაოდენობის გოგირდი გამომუშავდება.

– ფუტკარს საკუთარ სხეულთან შედარებით 320-ჯერ მეტი ტვირთის ზიდვა შეუძლია. შედარებისთვის, ცხენს გადააქვს ტვირთი, რომელიც დაახლოებით მისი სხეულის წონის ტოლია.

– არასრულწლოვანი და მოზარდი მწეველებისა და ალკოჰოლიკების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში რუსეთი ლიდერობს. კერძოდ, სიგარეტსა და ალკოჰოლს მუდმივად რუსი ბავშვების 33 პროცენტი იყენებს, რომელთა უმეტესობა უმძიმესი ქრონიკული დაავადებებით იტანჯება. ცნობილია ისიც, რომ დაახლოებით 2 მილიონ რუს მოზარდს წერა-კითხვა არ შეუძლია.

– ყველამ იცის, რომ ედემის ბაღში აკრძალული ხილი ვაშლი გახლდათ, თუმცა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული იყო მოსაზრება, თითქოს ადამსა და ევას ლეღვის, ფორთოხლის, ბროწეულის, მსხლის ან ლიმონის დაგემოვნება ეკრძალებოდათ.

– ქათამს წელიწადში 250-300 კვერცხის დადება შეუძლია. იმისთვის, რათა ქათამმა ერთი კვერცხი დადოს, 24-26 საათი სჭირდება. კვერცხის დადებიდან 30 წუთის გასვლის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება.



– მიიჩნევა, რომ ყავაში შაქრის დამატება პირველმა საფრანგეთის მეფემ ლუი მეთოთხმეტემ 1715 წლიდან დაიწყო (ყოჩაღ!).

– მედიკოსების დიდი ნაწილი ამტკიცებს, რომ ძილის ფაზების დარღვევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კომპიუტერთან დიდხანს ჯდომაა (ვეთანხმებით).

– გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, ბალიში პასიურ იარაღადაა აღიარებული.

– პენსილვანიაში აკრძალულია, რომ სახლში ერთდროულად 16 ქალი ცხოვრობდეს. სამაგიეროდ, კანონის ძალით დასაშვებია, ერთ ჭერქვეშ 120-მა მამაკაცმა იცხოვროს.

– მსოფლიოს ყველაზე „ახალგაზრდა" ქვეყანა იემენია, რომლის მოსახლეობის 52 პროცენტი ჯერ 15 წლისაც არ არის.

– ალჟირში მდებარეობს ტბა, რომელსაც მელნის ტბა სრულიად სამართლიანად ეწოდება. თურმე, ტბის წყლის სპეციალური გადამუშავების გარეშეც შესაძლებელია ფურცელზე სრულყოფილად წერა.

– ეიფელის კოშკის უმაღლეს წერტილამდე ასასვლელად კიბის 1792 საფეხურია დასაძლევი.

– ბუკინგემის სასახლეში 600-ზე მეტი ოთახია.

– ლოს-ანჯელესში ქმარს არ შეუძლია, ცოლი 2 დიუმზე ფართო ქამრით სცემოს, თუკი მისგან თანხმობას არ მიიღებს.

– ნაყინის პირველი კაფე პარიზში 1672 წელს ფრანჩესკო პროკოფიო დი კორტელიმ გახსნა. მისი კაფეს ხშირი სტუმრები დიდრო და ვოლტერი ყოფილან.

– არიზონას შტატში ქურდს, რომელსაც საპნის მოპარვისას წაასწრებენ, აიძულებენ მოპარული საპნით შეუჩერებლად იმდენ ხანს იბანოს, სანამ ხელში არ გაუქრება.




– კელნის ერთ-ერთ საავტომობილო გზაზე ძალიან უჩვეულო ნიშანია გამოდგმული: გადასასვლელი... გედებისთვის.

– გერმანიასა და შვეიცარიაში მიღებული პრაქტიკაა გვირაბების... ბაყაყებისთვის აშენება, რადგან როცა ბაყაყებს გამრავლების პერიოდი უდგებათ, „მშობლიური" ტბებიდან და ჭაობებიდან შორ მანძილზე გადაადგილდებიან. ცნობილია, რომ ბაყაყებისთვის ბერლინში აშენებული ასეთი გვირაბი 250 ათასი ევრო დაჯდა.

– მსოფლიოში ყველაზე დიდი სატრანსპორტო საშუალება თვითმავალი ექსკავატორი „ბიგ მასკი" გახლავთ. მისი წონა 13200 ტონაა. „ბიგ მასკის" დახმარებას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებენ, რადგან მისი ექსპლუატაცია ძალიან ძვირი ჯდება.

**uralweb.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## 7-გრამიან რობოტ-კალიას სტიქიების წინააღმდეგ გამოიყენებენ



წარმოიდგინეთ, ასობით და ათასობით მფრინავი რობოტი, რომლებიც ტყეში გაჩაღებული ხანძრის ეპიცენტრში უპრობლემოდ შეაღწევენ, ტერიტორიას მწერებისთვის დამახასიათებელი სისხარტით მოიცავენ და მეხანძრეებს სტიქიის კერის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციას მიაწვდიან...

სწორედ ასეთ სცენარზე საუბრობს შვეიცარიის ინტელექტუალური სისტემების ლაბორატორიის წამყვანი მეცნიერი მირკო კოვაკი და განმარტავს, რომ კოლეგებთან ერთად მის მთავარ მიზანს ისეთი მინირობოტების შექმნა წარმოადგენს, რომლებიც მწერების ინსტინქტების მსგავსად იმოქმედებენ.

ცნობილი ხდება, რომ შვეიცარიელ მეცნიერს უკვე გამოგონებული აქვს რობოტი-კალია, რომლის წონაც სულ რაღაც 7 გრამია და რომელსაც, არაერთი საოცარი ფუნქცია აქვს მიღებული. მათ შორის, ნახტომის განხორციელების შემდეგ რობოტ-კალიას შეუძლია ნებისმიერ ზედაპირზე მიმაგრება და შემდგომი ბრძანებების დალოდება.

– ჩვენი მიზანია ისეთი მიკრომექანიზმების შექმნა, რომლებიც სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლთ დახმარებას აღმოუჩენენ, – ამბობს შვეიცარიელი სწავლული.

მირკო კოვაკის მიერ შექმნილი რობოტი-კალია მუშაობს პრინციპით: „ნახტომი, დაგეგმარება, მიწაზე დაშვება", რაც სპეციალისტების თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ასეთი პრინციპის დახმარებით იქნება შესაძლებელი მიკრორობოტების რთულ პირობებში გადაადგილება და მუშაობა.

რობოტი-კალიას გამოცდების პირველი ეტაპი უკვე დასრულდა დიდი წარმატებით, თუმცა მისი შესაძლებლობები მეცნიერებს არ აკმაყოფილებთ და დახვეწაზე მუშაობა ამ დროისთვისაც გრძელდება.

**connect.rin.ru**

## ყველაზე მოსაწყენი დღე 1900 წლის შემდეგ



ვინ მოთვლის, რამდენი მნიშვნელოვანი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა დაფიქსირდა გასული საუკუნის დადგომის პირველივე წამებიდან მთელი მსოფლიოს მასშტაბით ზუსტად დღევანდელ დღემდე, თუმცა ისეც ყოფილა, რომ ერთ კონკრეტულ დღეს თითქმის არაფერი მომხდარა და შესაბამისად, მან ყველაზე მოსაწყენი დღის სტატუსი მიიღო.

როგორც ირკვევა, ბრიტანელმა კომპიუტერულმა პროგრამისტმა უჩვეულო პროგრამა გამოიგონა, რომლის დახმარებითაც მან 1900 წლიდან დღემდე ყველაზე მოსაწყენი დღე გამოავლინა.

კერძოდ, უილიამ ტანსტალ-პედოუმ ქალაქ კემბრიჯიდან თავის პროგრამაში დაახლოებით 300 მილიონი მოვლენა ჩატვირთა და სპეციალური ალგორითმებით დაადგინა, რომ 1900 წლიდან მოყოლებული ყველაზე მოსაწყენი დღე 1954 წლის 11 აპრილი ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ 1954 წლის 11 აპრილს ბულგარეთში არჩევნები ჩატარდა, დაიბადა ერთ-ერთი თურქი აკადემიკოსი და გარდაიცვალა ევროპელი ფეხბურთელი.

საუბარია თურქ აკადემიკოს აბდულა ატალარზე და არცთუ ცნობილი ბრიტანული საფეხბურთო კლუბის მოთამაშე – ჯეკ საფლბოტამზე, თუმცა რაიმე განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი არც მათ გაუკეთებიათ არაფერი. უბრალოდ, ერთი დაიბადა, მეორე კი გარდაიცვალა. ეს იყო და ეს...

**newsfeed.time.com**

## სკოლის ავტობუსზე სექსშოპის რეკლამა მიაკრეს




იტალიელი დედები გადაირივნენ, გადმოირივნენ და ჭკუიდან გადავიდნენ, როცა შეიტყვეს, რომ სკოლის ავტობუსზე, რომლითაც მათი შვილები მგზავრობდნენ, პორნოგრაფიული მაღაზიის რეკლამა იყო მიკრული.

ბუნებრივია, მომხდარში მაშინვე პოლიცია ჩაერია და მალევე დაადგინა, რომ ავტობუსის პატრონმა თანხმობა განუცხადა მაღაზია „ეროტიკ დრიმს", ძარაზე არასაბავშვო რეკლამა მიეკრა.

– ბავშვები გაკვირვებულები კითხულობდნენ, რა იყიდებოდა სექსშოპში. პასუხის გაცემას, უბრალოდ, ვერაფრით ვახერხებდით, – ამბობს ერთ-ერთი შეშფოთებული მშობელი.

რა ბედი ეწია ავტობუსის ცალტვინა პატრონს ან მაღაზიას ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმის გამო, აღარ ზუსტდება.

**metro.co.uk**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მეკარე (ფეხბ.)
2. პოეტი აკაკი ...
3. „იმერული ესკიზები“ ... ბაბუა
4. მზვერვალი კავკასიონზე
5. მონტე-... კრისტო“
6. „20000 ... წყალქვეშ“
7. ქალაქი ავსტრალიაში
8. ქალაქი რუსეთში
9. ერთგვარი ქარი
10. მზის სხივი
11. ყურძნის ჯიში
12. გამხმარი ხილი
13. ნაფუჭიანი ნაყოფი
14. ქალაქი ბელორუსში
15. ქალაქი უკრაინაში
16. მდინარე დარიალის ხეობაში
17. რას დარაჯობდა მინოტავრი
18. ბედი
19. უსინათლოთა ანბანი
20. პურის მცხობელი ქვეყანა
21. ლითონზე ამოჭრილი ნახატი
22. მონეტების შემგროვებელი
23. მონათა აჯანყების წინამძღოლი
24. იაპონური თეატრი
25. ქალაქი დას. საქართ.
26. დოილი. „... ძაღლი“
27. ცხრა ძმა ...
18. ქვეყნიერების დასასრული
29. მასხიობი ... ტომეი
30. ამპერი, ვოლტი ...
31. დათვის ნაშიერი
32. ქართ. ხალხური ზღაპარი
33. კეცლის მანქანა
34. მომღერალი ... პავლიაშვილი
35. ბიზეს ოპერა
36. ხელოვანი ხალხის დამხმარე
37. მომღერალი ... დილანი
38. პატარა ჩანთა სამხედრო ნივთებისათვის
39. „...-დე-ჟანეირო“
40. ფეოდალური ნიშნები
41. ... პაჩინო
42. ფეხბურთელი ფაბრეგასი
43. მწერალი უოლტერ ...
44. დისნეის ქალთევზა
45. ბრონტე. „ჯეინ ...“
46. ციხე-კოშკი მოსკოვის ცენტრში
47. ქალაქი კლდეში გორთან
48. სარქველი ჯორჯიშვილის ანთება
49. პოეტი ... მირცხულავა
50. სამეჯლისო ცეკვა
51. მისი დედაქალაქია პარიზი
52. იგი პიგმალიონმა შექმნა
53. ისრაელის დედაქალაქი
54. პურის დასაყრდენი ხელსაწყო
55. ორი ადამიანის საუბარი
56. მხიარული სიცილი
57. შვედური ხურდა ფული
58. რიცხვი ექვსი ნულით
59. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
60. მსახიობი ... ბესინჯერი
61. ქალაქი ქვემო ქართლში
62. ... არის ზეცა შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი
63. ინფექციური დაავადება
64. სოუსი სალათისათვის
65. მხატვარი ამედეო ...
66. თოვლის კაცი
67. ნაცია
68. მსახ. ... სმოქტუნოვსკი
69. ფეხბ. ზოგიერთი: ... სიცარიელე
70. ... და ობელიქსი
71. კომპოზიტორი ... პაულსი
72. ... ხაიამი
73. ხის ჯამი
74. ზღვის ძუძუმწოვარი
75. პოეტი ... ფშაველა
76. ზოდიაქოს ნიშანი
77. შხამიანი გველი
78. მუსლიმანური მარხვა
79. შვიდი დღე
80. რეჟისორი ... დოლიძე
81. უბედურების სიგნალი
82. იტალიელი კომპოზიტორი
83. საეკლესიო კრება
84. ცხენების ჯოგი
85. „...-ანჯელესი“
86. სამღვდელოების სიძე
87. მწვანე ნივთიერება ფოთოლში
88. მსახიობი ჰარისონ ...
89. მწერალი ... მოემი
90. ცელქი
91. ვერდის ოპერა
92. რგოლებიანი პლანეტა
93. სოფელი ტყიბულის რაიონში
94. ... ისკარიოტელი
95. მსახიობი კრისტინა ...
96. რეპის მომღერალი
97. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
98. სახელმწიფო აფრიკაში
99. გამოუწვავი აგური
100. მარცვლოვანი მცენარე
101. ჩოგბურთელი მარტინა ...
102. ხეობა კავკასიონზე
103. ყვითელი საოქეული ქვა
104. ლავი
105. ლეონიდის ოპერა
106. ტბა უნგრეთში
107. კუნძული კანარის კუნძულებში
108. მოლექსე: ... ჩრდილოეთის ...
109. ფურცლის დაკეცვის ხელოვნება
110. ბოსფორი, დარდანელი
111. მონღოლეთის დედაქალაქი
112. ქური
113. ნარინჯისფერი პიგმენტი
114. მსახიობი ... კრუზი
115. მომღერალი ... ბადურაშვილი
116. ჟან-კლოდ ... დამი
117. იტალიური ავტომობილი
118. სახელმწიფო აფრიკაში
119. მამალი კვიცი
120. მსახიობი ... გიბსონი
121. მსახიობი ... მიდლერი
122. ... ტიმოშენკო
123. მინი-ბოულინგ-ი
124. მგალობელი ფრინველი
125. ბაზრობა ... მოლი
126. რეჟისორი ლარს ... ტრიერი
127. ჟურნალისტი ... გრიგოლია
128. ომების მონაწილე
129. მდინარე კახეთში
130. პირველი კოსმონავტი
131. დღიურ. „... წლის შემდეგ“
132. ილეთი ძიუდო-ბაში
133. ქალაქი რაჭაში
134. სანაყი
135. ცხენის კუდის ბალანი
136. შოუ-ბიზნეს მხატვარი
137. იტალიის კუნძული
138. ტანმოვარჯიშე ... კორბუტი
139. ვაჟიშვილი
140. ნახევარკუნძული რუსეთში, ესპანეთში. კარის ზღვა
141. ზღაპარი „... გოჭი“
142. ... ბაბაკანიანი
143. მხატვარი ... გრეკო
144. ტყის მფარველი ღმერთი რომ. მით.
145. უქონლობის კუთხეში



პასუხები: 1. გოლკიპერი; 2. წერეთელი; 3. ბარნაბა; 4. იალბუზი; 5. გრაფი; 6. ლიე; 7. სიდნეი. 8. ორენბურგი; 9. პასატი; 10. ათინათი; 11. რქაწითელი; 12. ჩირი; 13. თხილი; 14. ბრესტი; 15. ოდესა; 16. თერგი; 17. ლაბირინთი; 18. სვე; 19. ბრაილი; 20. ხაბაზი; 21. გრავიურა; 22. ნუმიზმატი; 23. სპარტაკი; 24. კაბუკი; 25. ზესტაფონი; 26. ბასკერვილების; 28. აპოკალიფსი; 29. მარისა; 30. ვატი; 31. ბელი; 32. ირმისა; 33. ბრა; 34. სოსო; 35. „კარმენი“; 36. მეცენატი; 37. ბობ; 38. ნესესერი; 39. რიო; 40. აზნაური; 41. ალ; 42. რაფა; 43. სკოტი; 44. არიელი; 45. ეარი; 46. კრემლი; 47. უფლისციხე; 48. მასტიტი; 49. ალიო; 50. ვალსი; 51. საფრანგეთი; 52. გალატეა; 53. იერუსალიმი; 54. ტოსტერი; 55. დიალოგი; 56. კისკისი; 57. ერე; 58. მილიონი; 59. სირ; 60. კიმ; 61. ბოლნისი; 62. სადაც; 63. ტიფი; 64. მაიონეზი; 65. მოდილიანი; 66. იეტი; 67. ერი; 68. ინოკენტი; 69. ტორიჩელის; 70. ასტერიქსი; 71. რაიმონდ; 72. ომარ; 73. გობი; 74. ლამანტინი; 75. ვაჟა; 76. კურო; 77. ასპიტი; 78. რამაზანი; 79. კვირა; 80. სიკო; 81. სოს; 82. როსინი; 83. სინოდი; 84. რემა; 85. ლოს; 86. კირილე; 87. ქლოროფილი; 88. ფორდი; 89. სომერსეტ; 90. ანცი; 91. „რიგოლეტო“; 92. სატურნი; 93. ნაფარეული; 94. იუდა; 95. რიჩი; 96. ემინემი; 97. მემ; 98. განა; 99. ალიზი; 100. სიმინდი; 101. ნავრატილოვა; 102. დარიალი; 103. ქარვა; 104. ლოქო; 105. „ლელა“; 106. ბალატონი; 107. ტენერიფე; 108. ციალი; 109. ორიგამი; 110. სრუტე; 111. ულან-ბატორი; 112. ქვევრი; 113. კაროტინი; 114. ტომ; 115. ნინი; 116. ვან; 117. „ფერარი“; 118. რუანდა; 119. ურა; 120. მელ; 121. ბეტ; 122. იულია; 123. კეგლი; 124. ტოროლა; 125. ლილო; 126. ფონ; 127. ინგა; 128. ვეტერანი; 129. იორი; 130. გაგარინი; 131. ოცი; 132. ფანდი; 133. ონი; 134. როდინი; 135. ძუა; 136. ნიუ; 137. სიცილია; 138. ოლგა; 139. ძე; 140. იამალი; 141. სამი; 142. არნო; 143. ელ; 144. ფავნუსი; 145. არა. იკითხება: „პიეტა“.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე ჟუჟუნა ბოჭორიშვილი, შვილები მარინა, ნანა, ხათუნა შენგელიები, შვილიშვილები ნატა, უნა შარაშენიძეები, ანი, ნათია მაჭავარიანები, თამი კიკნაძე, სიძეები ოკა კიკნაძე, ბობა შოშიტაიშვილი, ზიკო ხუროძე, გიგა უდესიანი, შვილთაშვილები ბადრი და ანასტასია შოშიტაიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### გივი შენგელია

**პანაშვიდი:** 23, 24 სექტემბერს; 17 საათზე;
**მისამართი:** ვაჟა-ფშაველას გამზ. 47/2, V სადარბაზო;
**გამოსვენება:** 25 სექტემბერს, 15 საათზე საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

შვილები ლიანა, ნანი, ქეთევან რუხაიები, სიძეები თამაზ შევარდნაძე, ფრიდონ ინჯია, შვილიშვილები ვახტანგ და ნინო შევარდნაძეები, ივიკო (ივლიანე) და მარიამ შევარდნაძეები, გიორგი და თეა ქობლიანიძეები, ბაადურ და თამარ ქობლიანიძეები, ბაჩი (ილია) და ნინო ინჯიები, კახი და ხათუნა კოტრიკაძეები, ბექა და ელენე სურმავები, შვილთაშვილები: გიორგი, ელენე, მარიამ, თამაზ, ქრისტინე, ლიკა, ქეთევან, დიმიტრი შევარდნაძეები, მარიამ, ნანუკა, ანნა, გიორგი, გოჩა, ელენე ქობლიანიძეები, ლუკა, ალექსანდრე კოტრიკაძეები, ილია ინჯია, ნინო სურმავა იუწყებიან

### ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალებას
**პანაშვიდი:** 25, 26 სექტემბერს, 17 საათზე;
**გამოსვენება:** 27 სექტემბერს, 14 საათზე;
**მისამართი:** წყნეთი, ფიროსმანის I ჩიხი, №7.

ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ბერიშვილი, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ღოღობერიძე, თორნიკე აფაქიძე, დემურ ინჯია, ნანა შარაშენიძე, პავლე გიორგობიანი, რეზო სახოკია, გენო შეროზია თანაუგრძნობენ ქალბატონ ქეთევან რუხაიასა და ბატონ ფრიდონ ინჯიას დედისა და სიდედრის

### ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ბერიშვილი, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ღოღობერიძე, თორნიკე აფაქიძე, დემურ ინჯია, ნანა შარაშენიძე, პავლე გიორგობიანი, რეზო სახოკია, გენო შეროზია თანაუგრძნობენ ბატონ ილია ინჯიასა და ქალბატონ ხათუნა ინჯიას ბებიის

### ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ ილია ინჯიასა და ქალბატონ ხათუნა ინჯიას ბებიის

### ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქალბატონ ქეთევან რუხაიასა და ბატონ ფრიდონ ინჯიას დედისა და სიდედრის

### ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონ ილია ინჯიასა და ქალბატონ ხათუნა ინჯიას ბებიის

### ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ქეთევან რუხაიასა და ბატონ ფრიდონ ინჯიას დედისა და სიდედრის

### ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ასპირინი ფეხმძიმობის პერიოდში: შვილები გეყოლებათ, შვილიშვილები — არა



რატომ არ უნდა მიიღონ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა ფეხმძიმობის პერიოდში ანესთეტიკები! აღნიშნული საკითხის შესახებ მორიგი ერთობლივი კვლევა დანიისა და ფინეთის სამედიცინო უნივერსიტეტების სპეციალისტებმა ჩაატარეს. საქმე ისაა, რომ ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებს მამაკაცებისთვის საკმაოდ ბევრი უსიამოვნების მოტანა შეუძლია.

როგორც აღმოჩნდა, ისეთი გავრცელებული მედიკამენტების მიღებით, როგორებიცაა ასპირინი და პარაცეტამოლი, დედები თავიანთი ვაჟების მომავალ ოჯახურ ცხოვრებას უზარმაზარი რისკის ქვეშ აყენებენ, რადგან ზემოაღნიშნული წამლების გამო დიდია ალბათობა იმისა, რომ მშობიარობის შედეგად დაიბადონ შვილები, რომლებსაც ზრდასრულ ასაკში რეპროდუქტიული პრობლემები გამოუვლინდებათ.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ასეთი არასასიამოვნო და საშიში დასკვნა მეცნიერებმა 23-წლიანი კვლევის შედეგად გამოიტანეს. მათ დაადგინეს, რომ პრობლემები ასპირინისა და პარაცეტამოლის მიღების პარალელურად დაბადებული ვაჟების დაახლოებით 63 პროცენტს აღმოაჩნდა, რაც სპეციალისტების განმარტებით, კატასტროფული მაჩვენებელია. მათივე თქმით, ანესთეტიკების ჯგუფის პრეპარატები უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფი ბავშვის ორგანიზმის ბიოქიმიურ პროცესებზე და ამით სამომავლოდ მას სერიოზულ პრობლემები ექმნება.

*flirtmag.com.ua*

## ღამის ცხოვრების სიყვარული ტვინს ანადგურებსო



ახალგაზრდების არცთუ მცირე ნაწილი ღამის ცხოვრების ტრფიალია და გართობასა და დროსტარებას ისე ეძლევა, არც კი ფიქრობს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ არჩევანს. გარდა ამისა, არსებობს არაერთი პროფესია, რომლის გამოც ღამის თენება, უბრალოდ, იძულებითი ნაბიჯია.

იმისთვის, რათა მედიკოსებს ღამის ცხოვრებისგან ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის მასშტაბები დაედგინათ, შემდეგი ექსპერიმენტი ჩაატარეს: რამდენიმე ათეული მოხალისედან გარკვეული ნაწილი დროს ღამის კლუბებში ატარებდა, დანარჩენები კი პროფესიიდან გამომდინარე, ღამის საათებში მუშაობდნენ.

ჰოდა, დადგინდა, რომ ორივე კატეგორიის შემთხვევაში თავის ტვინის მუშაობის რიტმი და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იყო დარღვეული. კერძოდ, ტესტის შევსებისას „ღამურებმა“ გაცილებით უარესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე ადამიანებმა, რომლებიც ღამეს, ჩვეულებრივ, გამოძინებისთვის იყენებენ.

– ღამის გათენება პირდაპირ ვნებს ტვინის ფუნქციებს. განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია მუდმივი ღამისთევები, რასაც შესაძლოა, ქრონიკული დაავადებების განვითარებაც კი მოჰყვეს, – განმარტავენ კვლევის ავტორები.

*goroskop.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**24 სექტემბერი:** თუ მიზნის მისაღწევად ცოტა რისკი დაგჭირდებათ, შეგიძლიათ, დღეს გარისკოთ. თუ დამარცხდით, შეგიძლიათ, თავი იმით დაიმშვიდოთ, რომ სასარგებლო ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღეთ.

**კურო 22.04-21.05**
**24 სექტემბერი:** თქვენთვის ყველა კარი ღია იქნება და გარშემომყოფთა ყველა საიდუმლო – ცნობილი. ახლა თქვენზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებთ ამ ნდობას.

**ტყუპები 22.05-21.06**
**24 სექტემბერი:** ეს დღე რაღაც გაურკვევლობებს მოგიტანთ, რის გამოც, სხვადასხვაგვარი ემოციების გავლენის ქვეშ მოექცევით, მათ შორის, უმიზეზოდაც. თავი ხელში აიყვანეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**24 სექტემბერი:** თუ ვიღაცა თვლის, რომ მის განკარგულებებს შეასრულებთ, ძალიან ცდება. ძალიან ჯიუტი იქნებით და არავითარ შემთხვევაში პოზიციებს არ დათმობთ.

**ლომი 23.07-22.08**
**24 სექტემბერი:** არსებული ვითარების განსჯისთვის დიდი სივრცე და სუფთა ჰაერი დაგჭირდებათ. გაისეირნეთ ბუნებაში და აზრები დაალაგეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**24 სექტემბერი:** რის შეცვლაც საჭიროდ მიგაჩნიათ, შეცვალეთ, მაგრამ ძალიან ყურადღებით იყავით, რომ პირვანდელზე უარესი შედეგი არ მიიღოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**24 სექტემბერი:** მზად ხართ, ხასიათი თავადაც გაიფუჭოთ და სხვებსაც გადასწვდეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზუსტად არ იცით, რა გინდათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**24 სექტემბერი:** თუ კარგად მიმოიხედავთ, თქვენს გარშემო ქაოსის ნიშნებს დაინახავთ. აიღეთ ინიციატივა ხელში და შეძლებისდაგვარად მოაწესრიგეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**24 სექტემბერი:** შეიძლება საკმაოდ საინტერესო ადამიანები გაიცნოთ, რომლებიც ახალ და მაცდუნებელ პერსპექტივებს შემოგთავაზებენ. ყურადღებით იყავით, თაღლითების მსხვერპლი არ გახდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**24 სექტემბერი:** შესაძლოა, რაღაც საკითხზე აზრის გამოთქმა გაიძულონ. არ აჩქარდეთ, შეიძლება არც ისე მარტივად იყოს საქმე, როგორც მოგეჩვენებათ, ნათქვამზე კი პასუხისგება მოგიწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**24 სექტემბერი:** ცვლილებები კარგი რამ არის, თუკი ისინი უკეთესობისკენაა. პრინციპში, დღეს თქვენს ცხოვრებაში ასეთებია მოსალოდნელი.

**თევზები 19.02-20.03**
**24 სექტემბერი:** შეიძლება დღეს სხვის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება მოგიწიოთ. უსიამოვნო საქმეა, მაგრამ თუ ახლა არ მიხედავთ ამ საქმეს, ეს თქვენი შეცდომა იქნება.

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ≫211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.40